

სპეციალური თარგმანი

Handwritten notes in Georgian script, including the word 'სპეციალური' (Special) and other illegible characters.

5

გ ჳ ი ლ ი ს ი

1939

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიური თარგანი

საბჭოთა კავშირის მწერთა კავშირი

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური თარგანი

5

787
81

საბჭოთა კავშირის მწერთა კავშირი



სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი
1939 წელი, მაისი

მხატვრული ლიტერატურა

გიორგი ძავაშვილი — ბალადა გერჟინსკის ექიმზე	3
ვახტანგ დავაშვილი — პატარა ლექსები	5
შალვა ამისულაშვილი — მეგობრის განსენება	9
ლადო ასათიანი — კოლხიდა	11
ვლადიმერ უბილავა — რუნის ბრძოლა	28
ალექს. შენგელია — ლექსები ნარინჯოვანი	29
ანდრო თევზაძე — შენი სოფლის სურათები	32

კლასიკური მემკვიდრეობა

მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინი — ლიბერალი (ზღაპარი, თარგმ. პანტელეიმონ ჩხიკვაძისა)	34
---	----

კრიტიკა

ერ. ასტვაცატუროვი — ლენინი, სტალინი და შჩედრინის სატირა	39
გიორგი ლომიძე — სტალინური ეპოქის ახალგაზრდა ადამიანი	47
მ. ზინენაშვილი — შოლომ ალიეხევი	54
იაკობ ბალახაშვილი — გრიგოლ ორბელიანის ორი დაუბეჭდავი პროზაული ესკიზი	57
ნ. ტატიშვილი და ს. ხუციშვილი — ვაჟა-ფშაველას სიკაბუჯის ლექსები	59

ბიბლიოგრაფია

გ. მებუჯე — „მონეტური ლექსები“, აღ. გომიამ-შვილის რედაქციით	63
---	----

პასუხისმგებელი რედაქტორი ირაკლი აბაშიძე
პასუხისმგებელი მდივანი ნიკოლოზ აბიაშვილი

წარმოებას ვადაეცა 15/VI-59 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/VI-39 წ. ფორ-მათა რაოდ. 4. ტირაჟი 3.500. ზომა 7 X 11½. ქაღალდის ზომა 75 X 105. შეკვეთის № 1617. მთავლათის რწმუნებულის № 2032

სახელგამის პოლიგრაფკომბინატი, უორესის ქ. № 5

მხაზვერული ირბერაშუჩა

გიორგი ქიზვაშვილი

ბალადა ქერქინსკის ექიზა

როცა ქერქინსკის კაშკაშა გულმა
ვერ მოიშორა ჩრდილები ჭლექის,
გამოცდილ ექიმს მოუხმეს თურმე,
სახელმოხვეჭილ მოსკოველ ექიმს.

არ სძულდათ იგი,—თუმც, გულით კეთილს,
ერთი ზნე ჰქონდა გაუტეხ ფიცად:
ვერც შვილის კვნესა, ვერც ცრემლი დედის
ვერ შეარყევდა სიმტკიცეს მისას.

ის არ მალავდა განაჩენს საშიშს,
არ სცნობდა ნუგეშს, ამო იმედს:

— „ექიმო... მართლა მოკვდება ბავშვი?“..

— „დიად, მოკვდება.“ — იტყოდა მძიმედ.

...და იგი ფელიქს სწამლობდა ეხლა,

„რევოლუციის უშიშარ რაინდს“;

ხედავდა: დაღრღნა სხეული ჭლექმა,

მაგრამ თვალეზი ელავენ მაინც.

და გრძნობდა გმირიც ყოფნას მიწურულს,

მაგრამ ცრემლები არა აქვს არწივს:

მოძმის დიდ ძმობას, მტრის დიდ სიძულვილს

ვაზრდა სცოდნია ასეთი კაცის.

და ექიმს, უცხო განცდებით სავსეს

ხშირად ესმოდა ხმა საყვარელი:

— „ექიმო, ჩემზე ნუ ზრუნავ ასე,

შენ ის სთქვი, შენს ბავშვს მოუტრია ყელი?“

და გრძნობდა ბრძენი, ეს სუსტი მკერდი

თუმც ბინად იქცა უკურნელ ჭლექის —

სხვა იყო მაინც ეს პაციენტი,

იგი პირაქით ჰკურნავდა ექიმს!

და ვით მეცნიერს, თუმც სწამდა ისევ,

რომ აქ სიკვდილი მკვიდრ ბინას ეძებს,

თუმც სწამდა ფაქტის გველური სიბრძნე

და ბრძენი გველიც ეხატა რეცეპტს, —

მინც, სწორ გზიდან გამდგარმა მღურვით,
სავსემ თავზე და სიკვდილზე რისხვით,
გულის კარნახით დაასკენა თურმე:
არ მოკვდებო ფელიქს ძერჟინსკი!

...გავიდნენ წლები. და თუმცა ეხლა
ფელიქსის სახეს ვეღარ შევლიმით,
თუმცა იმხვერბლა არწივი ჭლექმა
და ასე შეცდა ბრძენი ექიმი,
მაგრამ, რომ ხედავს ამდენ გმირს ირგვლივ,
ამდენ თვალს, სავსეს მტრისადმი ზიზლით—
არ შევმცდარვარო, არ ტყდება იგი,
არ მომკვდარაო ფელიქს ძერჟინსკი!

გაბრიელ ჯაბუზანური

კაგარა ლექსები

თავთავების საუბარი

როს მნათობმა სხივთა კონა
გადმოშალა გორის ფხიდან
და ნიავი ყელმოხრილთა
ნორჩ თავთავებს დაეკონა,
ნამით თვალმონართავებმა
გაიცინეს თავთავებმა
და სიოსთან სასიმღეროდ
ააქანა ყველამ ლერო.

სიო მათი სიმხნევეა,
ერთუროს გადანართავები,
ჩურჩულებენ თავთავები
და ნელნელა ირხევიან.

ერთი ამბობს ტანის რკალვით:
— „მეშინია დავიგვალვით,
ვერძნობ ხანგრძლივად სხივთა მახვილს,
ყელს დაგვაჭერს მზე — თაკარა...“
„ — მე აქ არ ვარ?!.. — იქვე არხით
უპასუხებს რუ ანკარა.

წყარო მათი სიმხნევეა,
ერთუროს გადანართავები, —
ჩურჩულობენ თავთავები
და ნელნელა ირხევიან.

აწ სხვა ამბობს: — „მეც კი გეტყვით,
მეშინია დავისეტყვით,

თუ ღრუბელი აირია...
ხედავთ იმ ნისლს უხმოდ მცურავს,
მაღალ მთებს რომ თავზე ხურავს,
კაღაც სულსხვანაირია...“
„ — ხელთ მიპყრია მე ნამგალი!!“
ეუბნება გლეხის ქალი.

გოგოც მათი სიმხნევეა,
ერთუროს გადანართავები, —
ჩურჩულებენ თავთავები
და ნელნელა ირხევიან.

თეთრმა ნისლმა...

თეთრმა ნისლმა თეთრი კალთა
გადაგვხურა როგორც ნარმა,
მაგრამ უცებ მძლავრმა ქარმა
ახვეტა და გადაკვართა...

მეც ნისლივით მაწევს დარდი,
გარს მავლია როგორც ყორე,
მაგრამ ველარ ვადვიშორე,
ან გაწვიმდი, ან გადარდი...
ღღეში ასჯერ ვიმეორებ.
ხედავ, ქალო, ყელყარყარა,
ხულში სევდა ჩამისახლდა,
ან ჰო მითხარ... ანაც — არა...
ერთი სიტყვა — ბედის ჯარა, —
დალოცვილო, რაღა გახდა?!

ღაბრუნება

მოვრჩი ღელვას და ხეტიალს,
მხიბლავს შუქი მანგისა,
ეს დიადი კახეთია,
ის ლამაზი პანკისი.

ხეებს კვირტი დახეთქიათ,
მწვანით ირთვის ყოველი,
მოვრჩი ღელვას და ხეტიალს
ისევ შენთან მოველი...

გული მტკიცე ჭაუხია,
მხურავს შენი ცა ვიდრე,
მოვარემ მთებში ჩაუხვია,
მომეც ხელი, წავიდეთ.

ქილილა და დამანა

ღამეა და ნისლმა სოფელი დამალა,
ბურუსში ჩნდებიან მთათა კონტურები,
დღეს მე ვარ ქილილა და შენ კი დამანა,
ჩვენ უნდა ორივეს დაგვარქონ ტურები.
წყლის პირას დამსხდარნი ვნებიფრობთ სილაზე
და კენჭებს გასროლილს იტაცებს არაგვი.
მომწყინდა ეგ შენი ქალური სინაზე,
მოდი და უბრალოდ მითხარი არაკი!

მშვიდობით

მშვიდობით, მივალ. დე არხვატს დარჩეს
ჩემი ლურჯაის დაკრული ტორი,
მწამს თავს გაიტანს და ვაიმარჯვებს
ფხა ვაჟკაცური, მიზანი სწორი!

დაინგრენ ძველი ადათის ბჭენი,
ბინდი არ ბოჭავს გულს მარწყუხივით,
გამყვება ქალაქს სურვილი შენი
და დედაჩემის ჩემზე წუხილი!

შევხვდები ბარში ვაჟკაცებს ნარჩევს,
მოვალ და ნათელს მოვიტან შორით.
მშვიდობით, ქალავ, დე არხვატს დარჩეს
ჩემი ლურჯაის დაკრული ტორი!

თიმსარანი

თეთრი ნისლი ბამბა არის დანაპენტი,
სიო მთების ზღაპარია — სათნო, გრილი,
ჩანჩქერები ცრემლებია დანადგენთი,
კლდის გულმკერდზე ვერცხლის ცვრებად
დათქორილი.

ჩვენ მწვანეზე ჩამომსხდარი ღალღები ვართ,
გრძნობა ჩემი თიმსარებით გადავშალე;
ქუჩნი მთათა — შენთა თმათა ტალღებია,
ეს მიდამო კაბაა და ცა — თავშალი.

დღე აბეზარ ქალწულივით იმზირება,
უცოდველად იცრემლება ამო მარტი;
ჩემო კარგო, გამითავდა თიმსარემი, —
აჰა გული... გამომართვი!..

ჯიხვები

ღამით იბალახეს ქვევით იალალზე,
როს მთვარე ჩაქრა და ბნელს ძალა წაერთვა,
კვალი დაიდევნეს ნამიან ბალახზე,
მწვერვალს მიაღწიეს, შედგნენ და სთქვა ერთმა:
„ — კარგად აღარ მახსოვს პირველ ზმის დაცემა, —
თოფი გავარდა თუ მეხმა დაიქეჭა,
ორნი გამოვრბოდით — მე და ბიძაჩემი,
კაცმა გვესროლა და ბიძა ჩაიჩხა.
გარბოდა ვაჟკაცი, კიოდა, იძახდა
(მე კლდეს ავეკარი, ვით სხივი დილისა),
მივიდა, უყურა მომაკვდავ ბიძას და
ჯიხვს ცრემლი დაეცა ზრგე მონადირისა.

გეგობრის გავსენება

ვფურცლავდი წიგნებს, — და უცბად ხელში
 ფერგადასული ქალაღი შემრჩა;
 გავშალე წყნარად... გაუჩნდა ეშხი, —
 და მოგონება გადამიფერცლა!...
 მახსოვს, მოსკოვში ვიყავით ერთად,
 იქ მისახსოვრე შენ ეს ბწკარები;
 რა ტკბილი იყო რიყრაჟი კრემლთან, —
 და რა სპეტაკი კრემლის კარები?!..
 შემდეგ დავშორდით, — და ვიცი ეხლა
 მხრებზე სომხეთის ლაჟვარდი ვხურავს!..
 შენ რძე გაწოვოს არეზის შხეფმა,
 მე ღვინო მასეას ალაზნის გულმა!..
 ძმები ვყოფილვართ მე და შენ თურმე,
 ჩვენ ერთმანეთი ახლა ვიცანით;
 ვდგევარ და სომხურ სიტყვების სურნელს
 ვსუნთქავ წარსულით დაუნისლავე!..
 წავლენ ხმაურით მრავალი წლები, —
 და ვიცი, კიდევ შევხვდებით სადმე;
 გადიშლებიან გავლილი გზები, —
 ვაჟკაცობაზე მოფყვებით ამბებს!..
 მე ამ სტრიქონებს როგორ დავკარგავ,
 ეს არის ჩვენი ძმობის ნიშანი;
 შიგ დიდ სევანის ღელვა ჩამდგარს,
 არ მოაკლდება ერთი მისხალიც!...
 ჯერ არასოდეს ვყოფილვარ თქვენში;
 მაგრამ არარატს ვხედავ აქედან;
 ცა გაუბია მამონტის ეშვით, —
 და მზე ადგება ღამე ნათევარს!..
მესმის: ხევებში გუგუნებს ზანგა,
 ლოდებზე ხტიან თეთრი მხეფები;
 სცილდება კლდეებს მტვერი და ჟანგი

ათასი წლობით მოუფშენეტელი...
დახვალთ ვაჟები ზვიად მიწაზე,
ზედ ზანგეზურის რვალი გარტყიათ;
თქვენს დოვლათობას ვინ მოიტაცებს,
წამსვე დააჩნთ ბეჭზე ნატყვიარს!...
თქვენ სიტყვაც მოგდევთ მარილიანი, —
და აღზევანიც ახლოა თქვენთან;
თქვენ დროზე იცით ხმალის ტრიალიც, —
და ერთ შარაგზას მიჰყვებით ერთხმად!..

კოლხიდა

იყო წყვილიადი, კაცის სისხლს სვამდნენ,
ქვეყანას შავი ნისლი ჰბურავდა,
ადამიანებს კლავდნენ და სწვავდნენ,
დედამიწა კი მაინც ბრუნავდა.
მიწასაც აჩნდა ტირანის დალი
და მიწაც წუხდა კაცის იარით,
რადგან კაცის შვილს ჰქვიოდა ძაღლი,
და ძაღლს ჰქვიოდა -- ადამიანი.
რამდენი შხამი, შხამი მჩაგვრელის,
შეუსვამთ ბედშავ კოლხიდის მონებს,
რამდენი მთა და ხრიოკი ველი
მოურწყავს მათი ცრემლების მორევს,
იმდენი ქვა და სამსალა გველის
ნათ დამჩაგვრელებს და მათ ბატონებს!
და, როცა კაცი კაცის სისხლს სვამდა,
ადამიანი სანთლით ეძებეს...
მიაგნეს, ნახეს — ბრწყალებში ჰყავდათ
დამონებული მწვევარ-მეძებრებს.

*

* *

ამ სტრიქონების დამწერს უნახავს
მოხუცი ერთი — სახენათელი,
რომელსაც ბევრჯერ გადაულახავს
ჭაობიანი კოლხიდის ველი.
უნახავს იგი სახენათელი —
სატყვართ და შავი ჩოხითა,
ამ მოხუცს უთქვამს ამბავი ძველი,
თუ როგორ გაჩნდა ქვეყნად კოლხიდა:

„იყო წყვილიადა, იყო სიბნელე...
უძლური იყო კარაბადინი,
ნისლი ებურა კოლხიდის ველებს
და ლაქაშებში რბოდა ნადირი,
და ლაქაშებში სრესდა ფრინველებს
ტახი მთებიდან ვადმოვარდნილი.
იყო წუხილი და გულსაკლავად
ყრმათა აკვნები ფშანში ეყარა,
და, როგორც ყანა გაუმარგლავი,
წუხდა ხალხი და წუხდა ქვეყანა.
მონის უღელში გმინავდა ხალხი,
ხალხის ნაშრომი მიჰქონდა გველებს,
თალხი ებურა ქვეყანას, თალხი...
თალხი ებურა კოლხიდის ველებს.
— მიწას არ ძალუძს ჩვენი დარჩენა!
— მიწა ბერწია და ცოდვით მკვდარი!
წყევლიდა თავის დღედაგაჩენას
კოლხიდის მკვიდრი და ბინადარი.
სტიროდა ხალხი და ხალხის ცრემლით
იბერებოდა კოლხიდის მიწა,
ცრემლმა გაახმო უვალი ტევრი
და ხალხის ცრემლი ჭაობად იქცა.
ცრემლმა დახეთქა კოლხიდის მიწა
და დაიარა ცრემლმა ტევრები,
ცრემლმა ქვეყანას ნაყოფი მისცა
და ცრემლი ჩადგა ყუროძის მტევნებში.
ცრემლმა აღიდა ცოდვა და მადლი,
მერენად იქცა ცრემლი — კურცხალი,
მან გააყვითლა მნათობი ზადრი
და აადიდა პონტოს ზღვისწყალი.
პონტოს ზღვის ლელვას სხვა გმირი მოჰყვა,
დაატრიალა გველებში დაშნა,
შეწყდა მშრომელთა ცრემლი და ოხვრა,
მერე კოლხიდის ჭაობი დაშრა,
რადგან ზღვა ხალხის ცრემლები დაშრა
და ხალხმაც შესძლო მკლავების გაშლა“.

ასე მიაშბო მოხუცმა ძველმა
მოგონებები მწარე ოხვრითა,
რომ ხალხის თვალით ნადენმა ცრემლმა
შექმნა ჭაობი — ძველი კოლხიდა.

*
* * *

ნამდვილი ღამე — კოლხიდის ღამე,
 ჭაობში ფაცხა, ლელი და ძეწნა,
 — ღმერთო, გვიშველე, მოგვხედე წამით,
 ღმერთო, გაიგე მოკვდავთა ხვეწნა!
 ღმერთო, ისმინე ვედრება ჩვენი,
 გადაივიწყე ცოდვები ძველი!
 ისმინე ჩვენი ძალღური ყოფის
 ამბავი, ზეცის ძლიერო თვალო! —
 ევედრებოდა ღმერთს ავადმყოფი,
 დასიებული და მოყვითალო.
 ჩემი პოემის ლომკაცი გმირი
 ეთხოვებოდა მომაკვდავ მშობლებს,
 ჭარს ცად მიჰქონდა ძახილი გმინვით:
 — ღმერთო, მოხედე ქერივსა და ობლებს! —
 ღმერთი კი ისე, როგორც ყოველთვის:
 სდუმდა, თუ იყო — იყო უღონო,
 — კიდევ ვიწამოთ ძლიერება ღვთის?
 შეჩვენებულო ძაღლო და ღორო, —
 წამოიგმინა მოხუცმა მკაცრმა,
 ახრჩობდა წლობით ნაჭუბი სევდა,
 — გადაგვივიწყა ღმერთმაც და კაცმაც,
 ჩემო გაზრდილო, ჩამოჯექ ჩემთან!
 — წყეული იყოს ღმერთიც და კაციც,
 ხემაც ნაყოფი არ გამოიღოს,
 ყველას უემური ჩაუდგეს ტანში
 და ყველაფერი წყეული იყოს.
 წყეული იყოს, თუ იყოს სადმე
 ღმერთი შექმნილი კაცის ენიდა,
 და ეს ქვეყანა აივსოს ცამდე
 შხამით და გესლით მორიელისა.
 დაიღრჩოს გველი, არ დარჩეს ერთიც,
 და მამაღმერთი, ვით კაცის ბოდვა,
 ათი ათასი ურწმუნოს გვერდით
 დააღრჩოს ჩვენმა შხამმა და ცოდვამ.
 — ჩამოხსენ ხატი,
 დასწვი და წადი!...
 სთქვა ეს და უმაღ აეკვიატა
 სიკვდილის ბნელი ანთებულ თვალებს
 და მიწვა იგი ისე ზვიადად,
 როგორც ჭაობში ყვითელი მთვარე.
 აენთო გმირი — ლაწვებსოველი,
 ცეცხლს მისცა ხატი — განათლდა ბნელი,

ცეცხლზე იწოდა თვით ღვთისმშობელი,
„ყოვლადძლიერი“ და „ყოვლისშენელი“.
— შეილო, ეს რა ჰქენ? — შეჰკვივლა დედამ, —
შეილო, სიამევე ჩემი გულისა?
— ღმერთმა გაგვრისხა, დედი, ხომ ხედავ?
და ერგო რისხვა დაღუპულისა.
— ღმერთი, ო... ღმერთი რომ იყოს, შეილო,
ჩვენც მოგვხედავდა კოლხიდის ხალხსა,
შეილო, მშობლიურ კერაზე ტკბილო,
აქ დარჩი და არ წახვიდე არსად!
ხომ უსმენ ჩემი ძარღვების ცემას?
მე მივიცვლები, იმედო, მალე,
და საყვარელო ბიჭიკო ჩემო,
აქვე გორაკზე დამასამარე.
მე და მამაშენს გაგვიჭერ ტკბილი
სამარე, ფშანის ლერწამის ღერით,
და უბედურნი, ტანჯვითშობილნი
დაგვასამარე შვების სიმღერით.
შეილო, იცოდე, არ მიატოვო
ლაქაშიანი კოლხიდის ბაღი,
შეილო, ისმინე, მინდა, რომ გთხოვო;
არ დაივიწყო ჩვენი ქოხმახი.
კოლხიდის მიწა — ბერწი, გამხდარი,
შენი მშობლების ცივი სამარე,
იცოდე, გავა მკაცრი ზამთარი
და გაზაფხული დადგება მალე.
არ დაივიწყო მშობელი მიწა,
საყვარელი და ტკბილი ყველაზე,
ლაზის ოჯახი არ გააბილწო
და არ ჩააქრო ცეცხლი კერაზე.
ახლა, თოლიგე, ბიჭო ჩემო დე...
ჩემო დედიკო, შენ გენაცვალე,
ვიდრე სიკვდილი მოფრინდებოდეს,
დაუზუტავდეს შენს მშობელს თვალებს,
მითხარ ის ტკბილი სიმღერა მალე,
რომ აელვარებს
მთათა მწვერვალებს.
მითხარ, იმედო ჩემი გულისა,
ჰიმნი კოლხიდის გაზაფხულისა!
— დედი, გაზაფხული მოვა და მალე
აყვავილდება კოლხიდის ველი,
მზე ცის თალიდან გაახელს თვალებს
და მოისპობა ჭაობში გველი,
მზე გაანათებს მაღალ მწვერვალებს,

აქლურტულდება ფშანში ფრინველი.
დედი, გაზაფხული მოვა და მალე
აყვავილდება კოლხიდის ველი!
„იანვრის შემდეგ მაისი დგება“,
მალე გაიარს მკაცრი ზამთარი,
დედი, ხომ ხედავ თოვლი რომ დნება?
დედი, ხომ ხედავ ღმუის აფთარი?
„იანვრის შემდეგ მაისი დგება“.
მალე გაიარს მკაცრი ზამთარი! —

მღეროდა გმირი მშობლების ფეხთან,
სარკმლიდან სცემდა სინათლე დილის;
ნათელი წყვილიადს უღონოდ შეხვდა,
გამარჯვებული დარჩა სიკვდილი.

*

* *

ვერ მივატოვე პოემის გმირი —
კვლავ მომეხვივნენ სიტყვები ირგვლივ,
მკლავდა ღუმილი გულის გამგმირი,
ახლა მე თვითონ მოვკალი იგი.
დასტოვა ტკბილი ფაცხა მეგრული,
სამარე დედის, სამარე მამის,
ჩაიღვა გმირმა პოეტის გული,
დაიძმობილა წყვილიადი ლამის.
თავის საშველად...
გაიჭრა ველად.
მაგრამ მშველელი არსად არ სჩანდა,
გმინავდა ხალხი ზუნდზე დაბმული
და აზმორებდა ლაქაშში ზანტად
ველი ველური და უდაბური.
გარბოდა გმირი... ვილაც ეძახდა —
გაწამებული ცხოვრების ზესლით;
„დღე დაიღამე მშობლიურ სახლთან
და არ ჩააქრო კერაზე ცეცხლი!“
ანთებდა ცეცხლს და ცეცხლის ენები
სწვდებოდა ზეცას უნდოს და მუხთალს,
გმირი ბედისგან განახელები
მარტოობას და ობლობას წუხდა.
თუმცა გველებმა ველი მოშხამეს
და მზის ხელები მოიგერიეს,
მაინც ანათებს კოლხიდის ღამეს
ცეცხლი საწყალი კაცის კერიის.
დარბოდა ველზე ველური ქშენით,
მონობისაგან შეიქნა ხელი,

კაცის შვილსა და კაცის გაჩენილს
გადაავიწყდა თავის სახელი.
და შემდეგ თურმე ქვეყნად პირველად, —
ამბობს ლევენდა გასაკვირველი,
კამეჩიც რქენით გაიჭრა ველად
მონობისა და ჩაგვრის მხილველი.
მემატიანის გაბზარულ ხმაში
შემდეგ ამბავსაც გაიგებთ ახალს:
იქცევა თურმე ქვეყანა მაშინ,
როდესაც კამეჩს გაქცეულს ვნახავთ!
მაგრამ კოლხიდის ამ ბნელ ღამეშიც
არ დაქცეულა თურმე ქვეყანა;
მზემ სიყვარულით ნახა კამეჩი,
რომ ჭაობიდან ამოეყვანა.
მზემ გაანათა ხმელეთის პირი
და სავალალო ამბავი ნახა —
ფშანში ჩაფლული — პოემის გმირი,
და მისი დახსნაც მზემ განიზრახა.
მაგრამ წყვიდიადის ურჯულო ხელმა
ისევ დახურა სინათლის წიგნი,
კვლავ გაიმარჯვა ნათელთან ბნელმა
და კვლავ კოშმარი გამეფდა ირგვლივ.
ისევ დაღამდა, მაგრამ ამ ღამით
ისევ შეება ბოროტს კეთილი...
ნათლის და ბნელის ბრძოლის ამბავი
შემდეგ თავშია გამოკვეთილი.

* * *

ამ ღამით იძრა კოლხიდის მიწა,
გავარდა მეხი, გამოკრთა ელვა,
ავმა სულეებმა გამოიღვიძეს
და ჭინკამ ცხენი შემოაგელვა.
თქვენ თუ გინახავთ ჭინკა სარდალი, —
მამამთავარი ყველა ჭინკების,
მაშინ მეტყვით, რომ არის მართალი;
დამერწმუნებით, არ გაუჯიქდებით.
ცოცხს მიუგავდა ჭინკას პირსახე,
ჩხაოდა, მოძმეს უხმობდა ყველას —
(მორწმუნებო, გადაისახეთ
პირჯვარი, როგორც იცოდით ძველად).
ნეტავ, რომ ღმუის, რა ნადირია?
რამ ააბორგა ასე რიონი?
მოდის ჭინკების ესკადრილია
და ბაყაყების ბათალიონი.

და შენ, მკითხველო, ნუ გეშინიან
(თითქოს გაციებს ისე კანკალებ),
რა ვუყოთ, რომ აქ ასე ხშირია
კოლო, ბაყაყი და ბუზანკალი,
მკითხველო ჩემო, მომყევი ასე,
ნუ შეშინდები, აქაურ ბინდით,
წამოდი ჩემთან, მე შენ დაგასწრებ
ბაყაყების და ჭინკების მიტინგს.

ხენეშის ჭაობი შხამით, დურბელით
უქმურითა და ციებით სავსე,
ცაზე დაბობლავს შავი ღრუბელი
უზარმაზარი ობაბას მსგავსი.
— მოისპოს მათი მოდგმა და ჯიში,
ვინც ჭაობშიაც არ მოგვასვენა,
არ დავინახო ცრემლი და შიში,
ჩემო ლაშქარო, დადექი, სმენა!
ალიართალი, ბალიართალი,
თქვენი ტყუილი, ჩენი მართალი, —
ჩხაოდა მწარედ ჭინკა-სარდალი,
ნელში მათრახად ეჭირა გველი —
ლაქაშიანი კოლხიდის ველის.

საცრისთვალემა ჭინკების წყება,
მოდის, მოცეკვავს, მოარბევს კულებს,
მადლარი გველი ბაყაყთან წვება
და ძველებურად მას აღარ უტევს!
მოდინ ფშანში და მერე ჩრდილში
უერთდებიან მანენს და ოხერს,
ჭინკამ არ იცის არასდროს შიში
და არც არასდროს ამოიზნრებს.
ჭინკას პირის ღრუ სავსე აქვს ცეცხლით
და ყურებიდან სცივია ნაცარი,
ჭინკას მოყვება ყოველი მხეცი,
ყოველი მანენ და ნაკაცარი.
ჭინკას უქმურით სავსე აქვს ფერდი,
ჭინკა კვამლს უშვებს ცისკენ ბოლებით,
ვხედავ, დგებიან ჭინკების გვერდით
ყველა ხუცები და ბობოლები.
— ალიართალი, ბალიართალი, —
იწყებს ხმამალა ჭინკა-სარდალი:
— ჭინკებო და ბაყაყებო,
გველებო და მხეცებო,
საი წავიდეთ, რომელ მხარეს,
ბინა საით ვეძებოთ?

ხეალ მოდიან კოლხიდაში
 და კოლხიდას აშრობენ,
 უძლეველი ხალხის რაზმებს
 ინჟინრები მარშლობენ.
 ხეალ დილით სხვა მზე ამოვა
 და კოლხიდა დაშრება,
 გადავიქცეთ სატევრებად,
 გადავიქცეთ დაშნებად,
 მზის ამოსვლა შევაჩეროთ,
 ხალხი მოვსრათ, შევაჩვენოთ,
 ურა კვიცი შევაქენოთ!
 და ლაშქარი ახმაურდა
 ხმით, მზარავით, ბოხითა;
 — გადაუტყდეს თოხი ტარში
 და მოისრას კოხითა,
 ვინც მოვიდეს კოლხიდაში,
 ვინც წაგვართვას კოლხიდა!
 — შევაჩეროთ მზის ამოსვლა!
 — მოვსრათ მათი ლაშქარი!
 — ვლეწოთ მათი მუზარადი
 და ფოლადის ჩაჩქანი!
 — შევაჩეროთ მზის ამოსვლა!
 — მოვსრათ მათი ლაშქარი!

მოდის ლაშქარი, ტყე-ველს ედება,
 (მცენარეები დილის ცვარს სეამენ)
 ჭინკებს ჰგონიათ: არ გათენდება
 და საუკუნოდ დარჩება ღამე.
 და იმღერიან: გარინდებულა
 კოლხიდა და ჩვენ კოლხიდის ზე ვართ....
 მაგრამ ამოხდა მზე დიდებულად
 და გაანათა ქვეყანა მზემან.
 მზეს თან ამოჰყვა შობილი მზისგან
 ერი ურიცხვი, ვითა ყვავილი,
 და ხალხის წინ რომ წერაქვით იდგა,
 იცანით? — ჩემი პოემის გმირი!
 და ბრძანა გმირმა: რომ ჩვენი მტერი
 ჩვენივე ხელით უნდა მოისრას,
 ასე გვასწავლის ბელადი — ბრძენი
 აღამიანი ჩვენი დროისა.
 მზის მოელვარე თვალთა ბრიალით
 დაიბნა ავი სულეების ბანდა,
 ეკვეთა ხალხი ურყევი ძალით,
 ღამის ბლურუსი გადაიფანტა.
 აიწასო ავი სულეების ცრემლით

ცისა და მიწის ბასეინებო.
(ხომ არ შეწუხდა მკითხველი ჩემი
ბესიკის ბაღში ნასეირნები?).
გაჰფანტა ბნელი სინათლის ნაღმმა
და გასრესილი სინათლის ტერფით,
მკვდარი ბაყაყი ეგდო გულაღმა,
როგორც ნიკოლოზ ხელმწიფის ღერბი.
ყველა ორგული და დანაესული
ხალხმა გასრისა დასცა ზრიალით,
უფსკრულმა შთანთქა ყველა ავსული,
ყველა ბოროტი და კუზიანი.
და ისე, როგორც ტურფა ასული
მოვიდა ქვეყნად დილა მზიანი.

*
* *

მთვარემ დადგა ვერცხლის ტახტი,
მზემ აიღო დილით...
და მზე ისე აჩახჩახდა,
სულ გაჰფანტა ჩრდილი.
კოლხიდაში ყოველ მხრიდან
შემოვიდნენ ლალად
ციტრუსები და კოლხიდა
გადაიქცა ბაღად.

მე ვუმღერე მზიან ველებს,
განახლების ქარებს
და დღეს ვუღებ ჩემს მკითხველებს
ოქროს ბალის კარებს.

*
* *

რა დიდებული მოსასმენია
კოლხიდის ბაღში ბუღბუღლთა სტვენა,
როცა ცის ნამით მიწა სველია
და ისმის ვარდის ფოთოლთა ცვენა,
დე, მოვიდეს, რაც მოსასველია,
მუხამ მგოსანი არ მოასვენა.
მოვიდნენ აზრის მძლე ურდოები
და მგოსნის გული დაიმარტოვეს,
შარიშურობენ ბაღში რტოები,
ვაშლის ხეებმა ველზე მოთოვეს,
მოვიდნენ აზრის მძლე ურდოები
და მგოსნის გული დაიმარტოვეს.
გინდა სიწყნარე და სიმარტოვე,

ტყვილად ფიქრობ და ტყვილად ირჯები —
კოლხიდის ბაღში არ მიგატოვებს
მანდარინები და ნარინჯები.
არ მიგატოვებს ნათელი მზისა,
ბალი ნაყოფით დამძიმებული.
არ მიგატოვებს შლეგი ფაზისი
ბერძნულ მითებით გაბრწყინებული.
ოი ფაზისო, ტალღების ცემით
რამდენი მგოსნის წაილე მოთქმა,
ვფიქრობ, რომ რიგი მოვიდა ჩემი
და მეც მეღირსა ენის ამოდგმა.
მე კი სხვასავით არ ამაკვნესებს
კლდიან ნაპირზე შენი ალერსი,
მე შენს ხმაურში სიცოცხლეს ვეძებ
და სიჩუმეშიც შრიალი მესმის.
დავსვათ წერტილი; ცოტახანს შევდგეთ,
განვაგრძოთ თხრობა დაწყებულ ამბის
და სადმე ცალკე ვიმღეროთ შემდეგ
ფაზისის ოდა და დიფირამბი.
და მაგონდება ლაზი მონები,
და მაგონდება ამორძალები,
როცა მიმზერენ მე ლიმონები,
ასე სათუთად და მოკრძალებით.
ზურმუხტოვანი, კოლხიდის ბაღი!
სადაა, მოდგმა და წინაპარი!..
გახსნილა ზეცის შევიდივე თალი
და ახდენილა ძველი ზღაპარი.
მე სად ვეძებო თქვენი გზა-კვალი,
უძლური არის ამ დროს პოეტი,
მაგრამ ვიცი, რომ თქვენი აკვანი
არის ჩინეთი და ინდოეთი.
თქვენის შემოსვლით და მობრძანებით
გულდიან დარდი გადაგვეყარა,
თქვენ კოლხიდაში ოქროს ზარებით
შემოიყვანეთ ცათა ქვეყანა.
სთქვით: სად გველების ბუნაგი არი:
გვინდა ბინა და ბაღი მზიანი,
მერე განკურნეთ ხუნაგიანი,
მერე განკურნეთ რახტიანი.
თქვენ ხართ სიმბოლო ბედნიერების,
მზეშიშობილნი და მზისნაირნი,
თქვენზე მღერიან ყველა ერები,
ქართველი, რუსი და ისრაილი.
თქვენზე მღეროდა გრძელ წამწამები-
ანი ჩინელი — ძველი მგოსანი,

თქვენ სიღუბნეში მოსპეთ წაშებით
და ციება და ჟამი მოსსარით.
თქვენში სიცოცხლე ლივლივებს მძაფრად,
ანათებთ ღამით, ანათებთ ღლისით,
ჩემს ლექსებს უყვართ ზღაპრული დაფნა
და სათნოებაც აკვირვებთ მისი.
და ღამით, როცა აჩახახდება
ბალი, ვით ზეცა ძველი ეგრისის,
ვმღერი — ნეტა მას, ვინც რომ გახდება
კოლხიდის დაფნის გვირგვინის ღირსი.
ო... მე არ მინდა სხვა საჩუქარი
და არც ჰაფიზის ვნატრულობ ვარდნარს,
მე პოეტი ვარ ფიცხი და ჩქარი
და მიყვარს ციდან ვარსკვლავთა ვარდნა,
ჰე, ცხრა მუზაო, მე უნდა მენდოთ,
ვნატრულობ ღამით, ვნატრულობ ღლისით,
და გთხოვ გამხადო, მუზების ღმერთო,
კოლხიდის დაფნის გვირგვინის ღირსი.
ლიმონის ბუჩქი დგას დახუნძლული
და ქარვისფერი ნაყოფი შვენის
ხესაც ეტყოდა აქ დახუთული —
კურთხეულ იყოს მომყვანი შენი!

მე ოქროს ვერძით წარსულში მივქრი
და მთებიც ვერძის ხმაზე მღერიათ.
დგანან ხეები გაზრდილნი ფიქრით
და ვერძებრ ყელი მოუღერიათ.
შთაგონებაში მითები ძველი
ახლდება, ხდება გასაოცარი,
მღერის ლექსებით გულის დამწველით
ორბელიანი, დიდი მგოსანი:
— „ძველო ქვეყანავ, კოლხიდავ, მითხარ.
დავიწყებული, როგორ და რად ხარ?
არგონავტთაგან ძველად განთქმულო,
ალექსის წერილში მოხსენებულო,
შენი შვენება და ისტორია —
მითხარი, ნუთუ სავიწყარია?
მშვენიერებით, სიტურფით სრული
ნეტავ რისთვის ხარ დავიწყებული?
ზვირთი პონტოსი შენ გიალერსებს,
ცა-ლურჯი, წმინდა შენზედ ელვარებს,
მთა დიდებული ასული ზეცას,
ბრწყინვალე სხივით გვირგვინად გადგას,
ფაზისი მორბის და ოქროს ზიდავს
და შენს წიაღში უქმად კი ბრწყინავს.

შენზედ ჰყვავიან მედეს ასულნი,
მშვენიერებით ქვეყნად განთქმულნი“.

— მოხვედი, ცისკენ აღმართე ხელი
და ჩვენ კი გვერდი აგვიარევი,
მგოსანო, შენი საგალობელი
არის ძველი და ნაგვიანვე.
სიმღერა მაინც გვაღელვებს დიდად,
რადგან კოლხეთზე გტკიოდა გული,
შენი კოლხიდა, დიდი კოლხიდა
დღეს აღარაა დავიწყებული.
ქარვების ბალში მედეას სძინავს,
სიყვარული და სიტკბო დიღია,
ფაზისის ოქრო უქმად არ ბრწყინავს,
აქ ხეებზედაც ოქრო ჰკაიღია.

— იყავ კეთილი ჩვენი სტუმარი, —
ეტყოდა მგოსანს ხილთა კრებული,
ორბელიანი იდგა მღუმარი
სხივოსანი და ჩაფიქრებული.
მზე მისცურავდა სხივთა რიალით
ცაზე დაჰქროდა სამხრეთის ქარი,
იდგა პოეტი ორბელიანი
გალიმებული, როგორც ცისკარი.

ციტრუსები კი მღეროდნენ
ხოტბითა და ოდით:
ვინ გაუძლებს ამდენ ლელვას,
ვინ გაუძლებს ლოდინს,
წამს შეირხა, როგორც ელვა
და აკივლდა ტოტი:
ალავერდი! ალავერდი!
მოვრჩით ცდას და ლოდინს;
ღვინისა და თრობის ღმერთი,
დიონისო, მოდის!

* * *
გრძელდება თხრობა ჩემი თქმულების —
მოდინ მწიფე მტევნით ვაზები,
მამაკაცივით ფეხადგმულები
იღრიჯებიან, ვით ჯამბაზები...
და დიონისო ლოყებწითელი,
ულვაშიანი და ჯიშიანი —
წინ მოუძღვებათ, თან მოაქვს ხელით
ასიწლის ვაზი, ფოთოლთ შრიალით.
ორბელიანი ხვდება თავაზით
და მღერის ქებას ღვინის და ვაზის.

ხილთა შეხვედრამ და ხილთა ქებამ
რომ მოგვაგონოს თვით ხილის გემო,
ვნატრულობ დიდი რუსთაველის ებანს,
პატიოსანო მკითხველო ჩემო.

მოდინ ათას ჯიშის ხეები,
ამბობენ: ხმელი მოვიარენით,
დავტოვეთ მთები, საჯიხვეები
მზიარული და მგლოვიარენი.
გვზარდა სამშობლოს მთებმა, ველებმა,
მოვსულვართ თქვენთან რაინდულ ფიცით,
გვინდა ვიხილოთ საკვირველება
ბარაქიანი კოლხიდის მიწის.

და ციტრუსოვან ხილთა კრებულნი
გაბრწყინებულნი ვით ქარვასლები,
იმზირებიან გაკვირვებულნი,
როგორ მოდინ მათთან ვაშლები.
ამწვანებულა ბაღში ჰერანი,
დაფნა და ვარდი ათასნაირი,
თუ ხარ პოეტი და მომღერალი,
უთხარი ლექსი შოთას შაირით.

კოლხიდა როგორ არ შემეყვარდეს,
როცა ვუყურებ მაისის ვარდებს?
იმღერე და, თუ არ გეშინია,
რომ ლექსში ვინმეს დაუვარდები,
ეს ყვავილები ყველა შენია,
ეს ზამბახები და ეს ვარდები!
ვარდი ყვავილთა დედოფალია,
ვარდი — მიჯნური დიდი ჰაფიზის,
მგოსნის ცრემლები ვარდისწყალია
და ვარდისწყალი — ცრემლები მისი.

ირანში თურმე ასე იტყვიან:
— ვარდი ალაჰის საჩუქარია,
ჩვენში — ვინც შრომობს ვარდიც მისია,
ვარდიც მისია და უხარია.
და არ იშლება ჩემი ხსოვნიდან;
ირანში, თურმე, იტყვიან ერთსაც,
რომ იქ ბალახიც არ ამოვიდა,
სადაც მაჰმადის ცრემლი დაეცა.
კოლხიდაში კი ვარდებს მოგიტანს
და ასე გეტყვის ყოველი გლეხი:
— პირველი ვარდი იქ ამოვიდა,
სადაც ბელადმა დაადგა ფეხი!

ვარდი მეც მიყვარს გულის დამწველად
სამშობლო მიწავ, სამშობლო ცაო,

და, როცა მოგვედღე ამას ვთხოვ ყველას,
კოლხურ ვარდებში დამასათლაონ!

ხედებიან სტუმრებს თვალბმზიანი
და ოქროვანი მანდარინები,
ეუბნებიან ადამიანებს:

— ჩვენი ნაყოფი მოდით, ინებეთ!
ჩვენი ნაყოფი გაგისსნით მადას
ბედნიერების ნექტარით სავსე,
ნუ დაუჯერებთ ბრძენ ჰიპოკრატეს
საღდაც, ოდესღაც რომ უთქვამს ასე:
„ამ ქვეყნის ხილს ცუდი გემო
აქვს და მალე სწყდება ტოტებს,
წყლის სიუხვის გამო იგი
არ მწიფდება არასოდეს“.

გადაივიწყეთ ამბავი ძველი —
რა ვუყოთ, ერთხელ შეცდება ბრძენიც!

მზე იყურება ბავშვის თვალებით
და დედამიწას უგზავნის ალერსს,
ნაირ-ნაირი შადრევანები
ათერადებენ კოლხიდის მზარეს.
ახლოს ჩანს — დიდი სასახლის კარბ,
კოლხიდელები რომ აშენებენ,
შორს — უსარკმლო ძველი საყდარი.
თვალეზდათხრილი ოადიპოს მეფე.
არის სერობა, არის ზეიმი
ადამიანის, მზის და ბუნების,
და საარაკო თვალისეირი
სეებედნიერი შეძლებულების,
ბრწყინავს ზურმუხტის სხივდაფრქვეული
ვარდის სურნელით სავსე ჰაერი,
დგანან ხელიხელ გადახვეული
ჭართველი, რუსი და ისრაელი.

* *

ასეთი იყო ხილთა სტუმრობა,
სანახაობა თვალის,
ჩემი ნათქვამის დადასტურება
ჩემივე ლექსი არის.
მაგრამ სტუმრობა წარმტაცი შეტად
შე ვინახულე დილით,
როცა ბედნიერ მეგობრებს შეხვდა
ჩემი პოემის გმირი.

რიჟრაჟი იყო, გალობდა ბაღში ბუღბუღლთა კრებულნი,
 მზე მონადირე მეგონა სახუნდარს მოფარებული.
 და მერე, როცა ამოხდა მზე გოლიათურ მთებს ზევით,
 ფაზისის წმინდა ტალღებში ბრწყინავდნენ ოქროს თევზები.
 გადახვეოდნენ ერთმანეთს დამძიმებული ტოტები,
 მკერდში ჩაეკრათ მზისაგან გაბრწყინებული ოდეები,
 ციდან სცვივოდა რიალით ოქროს სხივების შურდული,
 იყო ფოთოლთა შრიალი და ჩიტუნების ელურტული,
 თავს იწონებდა ამინდით ზაფხული ნამნაპკურები,
 ბილიკზე ნელი ნაბიჯით მოირხეოდნენ სტუმრები.
 შეჩერდნენ... წყნარად შეაღეს პირველი ოდის კარები,
 გაშლილი სუფრის გარშემო ჩონგურს უკრავდნენ ქალები.
 (ბედნიერია, მგოსნებო, ჩემი შაირის პწკარები).
 იხილეს გმირი პოემის. — ცხოვრებით განახარები,
 იხილეს, გადაეხვივნენ, აუფართქალდათ გულეები,
 იყო გულთბილი შეხვედრა და სიხარული უღვევი.
 იხილეს აყავავებული კოლხიდა — ათასფერადი
 და ადღეგრძელეს სტალინი, ჩვენი მამა და ბელადი.
 მზისგან დამწვარი მკლავებით მკერდში ჩაიკრეს ჩვილები,
 კოლხურ მიწაზე გაზრდილი — პოემის გმირის შვილები.
 პოემის გმირმა ცოლს უთხრა: ჩონგური მოიტანეო,
 ლექსი იმღერე ქებული, ჩემო მზევ, ჩემო მთვარეო,
 ჩვენი ძვირფასი სტუმრები დაატკბე, გაახარეო!

მოვიდა ქალი ჩონგურით მწყაზარი, პირმცინარეო,
 ქმარს უთხრა: — ქმარო მოვედი შენი მზე, შენი მთვარეო,
 შენი გათლილი ჩონგური მოგართვი, მოგიტანეო,
 ლექსი ვიმღერო ქებული, სტუმარო გაიხარეო:

— ნანა, ნანა, დია ნანა,
 სულზე ტკბილო ჩემო ნანა,
 სიკვდილი მას, ვისაც შენი
 გახარება დაენანა.
 სიმღერებით გამომზარდე,
 შემასწავლე ანა-ბანა, ;
 მომიტანდი ცვრიან ვარდებს —
 — ვარდს რად უნდა ვარდი, ნანა?
 მიყვებოდი ოქროს ზღაპრებს,
 რომ დადგება ოქროს ზანა,
 მერე მართლაც ასე მოხდა
 და ქვეყანამ გაიხარა.
 ნანა, ნანა, დია ნანა,
 სულზე ტკბილო ჩემო ნანა!

აგისრულდა განზრახული...
 მტერს დაესო გულში დანა,
 კოლხიდაში გაზაფხული
 დადგა, ოქრო მოიტანა,
 აღარ ისმის ისლის ქოხში
 ოი... ნანა! ოი... ნანა!
 ოდა დავდვით, ისლის ქოხი
 აჩრდილივით გაილალა,
 შენ ჩემს გაზრდას შენატროდი,
 სიკვდილმა არ დაგაცალა;
 ჩემს გმირობას მოსწრებოდი,
 უცოდველო ჩემო ნანა.
 სასთუმალთან ძილისპირულს
 მიმღეროდი, ღია ნანა,
 შორს ვიყავი, მიმელოდი,
 ცქერით თვალი დაგელალა;
 ნანა, ნანა, ღია ნანა,
 სანატრელო ჩემო ნანა!
 ახლა ჩვენთან აღარა ხარ,
 სამარეში გძინავს წყნარად,
 ოქრო ბრწყინავს,
 ბალი ბრწყინავს
 და დაგნათის თავზე მკრთალად,
 ბალში სტვენენ ბულბულები
 და ქარს მიაქვს ხმები ბარად:
 — მამამ ასე დამიბარა,
 დედამ ასე დამიბარა:
 კერია არ გააცივო
 და ზედ ცეცხლი გენტოს მარად.
 ღამე არის, ზეცის ნამი
 აციმციმებს რძიან ბალახს,
 მთვარე ოდას გადასცილდა
 და ტყის უკან დაიმალა,
 ჩონგური კი ისევ მღერის:
 — სულზე ტკბილო ჩემო ნანა!

ყველა სიამით უსმენდა (ტკბილად მღეროდა ასული),
 აგონდებოდათ კოლხიდის ჯოჯოხეთური წარსული
 და მტერი ხალხის მახვილით ათასჯერ გულგაბასრული.
 თავს დაპნათოდათ ღიმილით სახე ბრძენის და პურადის —
 მშრომელი ხალხის ბელადის დიდი სტალინის სურათი.
 მღეროდა გმირი პოემის წარსულში განაწვალეები
 და შეჰყურებდა ქვეყნის მხსნელს გაბრწყინებული თვალებით.
 უცრად ხალხის სიმღერამ გაალო კარი ოდისა —

გზა დაუცალეთ, ოჯახში ხალხის მგოსანი მოდისო,
გამოჩნდა ხელში ვარდებით მოხუცი წელგამართული,
შვენოდა თეთრი ქაღარა და სატევარი ქართული —
ვარდებით მორთო სურათი და ააქლერა თანდური.

*
* *
*

იმ დღეს, როდესაც ხარობდა მზეზე
კოლხიდის მიწა ქცეული ბაღად,
მე დავასრულე ამბავი ესე
და გადავეცი ხალხისთვის ქაღალდს,
დე ხალხმა ნახოს და მესაუბროს,
კარგია, როცა ხალხი გაგიგებს,
მე ხალხს ვენდობი ყველაზე უფრო,
თუ მოეწონე, ძეგლსაც ავიგებს.
უკანასკნელად ვალი მაქვს, უნდა
მოვიხსენიო მეგობართ წყება,
არ შემიძლია მე წუთით, თუნდაც,
მათი ამავის გადავიწყება.
მადლობა შენდა, ნაზო ქალწულო,
მე ვწერდი შენი საწერ-კალამით
(რად აფართქალდი ბუდეში, გულო?),
მიიღე ჩემი წრფელი სალამი!
მადლობა შენდა, ქალო მთოვარევე,
შენ მისახსოვრე მგონი რვეული
და სიხარულით აღმაფრთოვანე
ჭაბუკი ანცი და ქირვეული.
მადლობა შენდა, ბავშვივით ჩვილო,
შენ ააქლერე ჩემი ებანი,
კაცო, მართალო, ბუნების შვილო,
შენით მაქვს შვება-ნეტარებანი.

სითეთრე დღისა თოვლებრ დნებოდა,
იდგა ზაფხულის დღის სიტკბოება,
მზე ჩადიოდა და სრულდებოდა
ჩემი ლექსი და ჩემი პოემა.
მე სხვაგვარ ციკხლით მიწვოდა სული —
უფაქიზესი გრძნობების ბინა —
და შთაგონებით გარემოცული
ეხეტიალობდი შავი ზღვის პირად.

რუნის ბრძოლა

„მეგრეთა სისხლი სწყუროდათ,
თუცა შეესიათ გობითა“
ბესიკი „რუნის ბრძოლა“.

აქ თვით ბესიკსაც უთქვამს ერთხელ “მაირი ომზე,
დღეს მშვიდობაა, ვინ არ არჩევს მშვიდობის შაირს;
აქ მჯდარა იგი... ჩვენც წამოვჯდეთ ამ სუფთა მოღზე,
ქება მიუძღვნათ ამ მზეს, ამ ჰაერს.

რა დღე დამდგარა. ყველგან ჩანგის წკრიალი ისმის,
დოღი ჰქონიათ ჭალებში მოყმეთ;
უკვე მიმწყდარა რუნის ბრძოლა და წვიმა სისხლის,
და დროა ძმობის ჰანგები მოგყვით!

ბესიკს რა ექნა? თვალწინ ედგა ხოცვა და ჟლეტა;
დღეს მშვიდობაა, თქვენც თხოულობთ მშვიდობის შაირს;
ჩამოვჯდეთ, ძმებო, ეს ქამანჩა ავაწყოთ ერთად
და ხოტბა ვუთხრათ ამ მზეს, ამ ჰაერს!

ლექსები ნარინჯოვანი

ამბავი ზალარა ფიჭვისა

ჰკითხეთ,
არ გჯერათ?
ჰკითხეთ მწვერვალებს,
მე მათთან ახლო მქონია ჰუდე...
თეთრი ღიმილი რომ აფერალებს
გოლიათების თოვლიან ქუდებს, —
ჩემი აკვანი იქ დარწეულა,
იმ ვაჟკაცებთან მალა ასული,
ასი ლერწამი გადამტვრეულა,
ნანას მღეროდა ასი ასული.
თეთნულდს და უშბას ემახსოვრებათ,
ვარსკვლავიანი ჩემი ცხოვრება,
ცა კრიალა და ცა ანთებული,
თეთრი აკვანი მთას გადებული...
არწივის ყივილს მოჰქონდა დილა,
და ფიჭვნარების შრიალი მზრდიდა,
ბარად მოვსულვარ მთებში ვაზრდილი,
როგორც ენგურის მოვარდნა მთიდან.
ან მთა რა არის, რა უცნაური!..
საქართველოში მთა რამ მოლია,
თუ ამ სტრიქონებს ელვა დაუვლის,
ისიც მთებიდან მონაქროლია...
მე და ტანაყრილ ლამაზ მცენარეს,
ორთავეს მთების სისხლი გვქონია,
გულს აშრიალებს და მომცინარი,
ჰყვება გარდასულ მელანქოლიას.
ვინ მოიყვანა, ვინ დაასახლა?
ვის ჰქონდა მასთან მტრობა და შუღლი?
დარდიმანდულად შრიალებს ახლა,
მიწას გამჟღადარი ძარღვიან მუხლით.
მართალსა ჰგავს და დაეჯერება, —

მეც ეს ბედი მხვდა, ამ ფიქვს კი არა, —
დადიას თურმე ასე ენება,
მის ეზოკართან რომ ეშრიალა.
წარეიდნენ დრონი, ჭაობის წყლებმა,
თან გაიყოლეს დარდი და სევდა,
და დადიების გადავიწყებას,
წინ წყალი, უკან მეწყერი სდევდა.
ფიქვზე შემსხდარი მალალურები,
იასამანებს აფრიალებენ,
და სიყვარულით გათანგულები
დამთვრალან ხენი და შრიალებენ.

კოლხური შემოდგომა

შვლის ნუკრებს თასი მოჰქონდათ,
თასი ძირგამოუცლელი,
მღეროდნენ გამარჯვებისას
ნარინჯოვანთა ფურცლები:

— მოდით, მიირთვიეთ, კარგებო,
ჩიტის რძით სავსე თასები,
ლამაზი ბაგე ამღერეთ,
იაგუნდისა ფასები.

ფორთოხლის ხეებს მოსწყვიტეთ,
ვარსკვლავიანი თვალები,
გაამოთ, ჩაიტკბარუნეთ,
ბადახშანისა ლალები,
გვერდით მოისვით ქალები,
თურაშაულის ქალები...

ზეიმი ჰქონდათ რაინდებს,
ზეიმი ჯერ არ ნახული,
ხარობდა მიწა რძიანი,
ფორთოხლით მოჩარდახული,
გამოეჩინა ბარაქა,
აქამდე ვადანახული.

ვარსკვლავებს ფერი წასვლოდათ,
ბრაზობდნენ გულმოკლულები;
ვინ ვადმოყარა მიწაზე,
ეს ვარსკვლავები ულავი?

მღეროდა თეთრი ასული,
გამარჯვებისას მღეროდა,

ნიავეს გაჰქონდა სიმღერა,
ასი ლერწამის ლეროდან.

მღეროდნენ რაინდებიცა,
და შრილებდნენ ხეები,
შელის ნუკრებს თასი მოჰქონდათ,
პატარა თეთრი ხელებით...

— ეს იმ მზეს გაუმარჯოსო, —
ამბობდა ერთი მხედარი, —
ვინც, მზეზე დღეგრძელი არის,
დღით და ღამითაც მზედ არი,
ვინც ვარსკვლავებად აგვანთო,
დაგვიმზიურა გულები,
მოგვცა მკლავებში ფოლადი,
და ცეცხლი მოგვცა ულავი.

ზეიმი ჰქონდათ რაინდებს,
ზეიმი ჯერ არ ნახული,
ხარობდა მიწა რძიანი,
ოქროსფრად მოჩარდახული.

მღეროდა თეთრი ასული,
გამარჯვებისას მღეროდა,
ნიავეს გაჰქონდა სიმღერა,
ასი ლერწამის ლეროდან.

შენი სოფლის სუკათაზი

მზემ დაფერა ველმინდორი,
მთებს სიცოცხლე ჰქონდა დილის.
ხვეის გაღმა ჩანდა შორით,
შეეწყვიტა ნისლებს ძილი,
მიფრინავდა მალლა ქორი,
ვით ისარი ავთანდილის.

დგას ხეები ყელმოღერით,
აქვთ კაცური გამომზერა.
აქ ფოთლების ენით მღერის
ეს მუხა და ეს წიფელა.
და მზეს მათი მწვანე ფერი
შეუცვლია ოქროსფერად.

ხევში წყარო — ირმის თვალი
კლდეზე ლესავს ვერცხლის დანას.
გადმოლახა ზღუდე ძალით
და მდინარეს დაემგვანა.
მოფრენილა აქ მერცხალი
თეთრი მკერდის დასაბანად.

ცელქ ბავშვების ყრიაბული
სოფლის შარებს ლხენას გვრიდა.
როგორც სიმი კიანურის
ვარდებს სხივი დაეკიდა.
და შორს ქარი გულმოსული
ღრუბლებს ზღვისკენ მიდენიდა.

დღეს სტუმრად ვარ შენს სოფელში,
მინდა: სადმე მარტო გნახო,

რომ ფიქრების მთაგრეხილი
გავბედო და გადავლახო.
ერთის მეტი თუ გაკოცო,
დე ტოლებში დავიძრახო.
ზღვის ნიავექარს ფაფარაშლილს
ეჯიბრება ველზე ყანა,
ბუჩქები კი ჩაის ბაღში
მხედრებივით რიგში დგანან.
და ჩიტების სიმღერაში
უკვე ბინდმა მოატანა.

მზე ჩავიდა... მთების თავზე
გადიდვარა სჩივთა ჩქერი.
მზე ჩიტებმა გააბრაზეს,
დაიღალა მათი ცქერით.
მზე ჩავიდა, მაგრამ ცაზე
დარჩა მისი ხელნაწერი!...

ლიბერალი

(ზღაპარი)

რომელიღაც ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი ლიბერალი, თანაც ისეთი გულ-ახდილი, რომ კაცი ხმის ამოღებას ვერ მოახერხებდა და ის უკვე თავგატეხილივით ღრიალებდა: „ბატონებო! ბატონებო, თავს რატომ იღუპავთ“-ო. არავის გული არ მოსდიოდა ლიბერალზე. პირიქით, ყველა ამას ამბობდა: რას დავე-ძებთ, გაგვაფრთხილოს, ჩვენთვის ხომ უკეთესიაო.

— სამი ფაქტორი უნდა ედვას საფუძვლად ყოველგვარ საზოგადოებრივობას, — ამბობდა ის, — თავისუფლება, უზრუნველყოფა და თვითმოქმედება. თუ საზოგადოება მოკლებულია თავისუფლებას, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ცხოვრობს უიდეალოდ, აზრთა წვის გარეშე, რადგან არა აქვს საფუძველი შემოქმედებისათვის, არა აქვს რწმენა მომავალ ბედ-იღბლისადმი. თუ საზოგადოება თავს არ სთვლის უზრუნველყოფილად, ეს ასევე მას სიბეზარის დაღს და გულგრილსა ხდის თავის სეგებდისადმი, თუ საზოგადოება მოკლებულია თვითმოქმედებას, ის უუნარო ხდება თავის ცხოვრების მოწყობისთვის და თანდათან ჰკარგავს წარმოდგენას თავის სამშობლო-მამულზე.

აი, როგორ ფიქრობდა ლიბერალი და, სიმართლე უნდა ითქვას, სწორედ-დაც ფიქრობდა. იგი ხედავდა, რომ მის გარშემო ხალხი მოშხამული ბუზებივით დაფარფატობდნენ და თავის თავს ეუბნებოდა: „ეს იმიტომ, რომ ისინი არ სცნობენ თავიანთ თავს, თავიანთ ბედნიერებას მშენებლებად: ისინი არიან ხელხურდიანები, რომელთაც ბედნიერებაცა და უბედურებაც თავს ატყდებათ ხოლმე მათი წინასწარი გათვალისწინების გარეშე, რომელნიც არ ექვემდებარებიან თავიანთ შეგრძნობებს, იმიტომ, რომ არ შეუძლიან განსაზღვრონ სინამდვილის შეგრძნობა ეს თუ რაღაც ფანტასმაგორია“. ერთი სიტყვით ლიბერალი მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ მხოლოდ დასახელებულ სამ ფაქტორს შეუძლიან მისცეს საზოგადოებას მტკიცე საფუძველი და თანაც მოუტანოს ყველა დანარჩენი ბედნიერება, აუცილებელი საჭირო საზოგადოებრივობის განვითარებისთვის.

მაგრამ ეს ცოტაა: ლიბერალი არა მარტო ფიქრობდა კეთილშობილურად, არამედ იღწვოდა კიდევ კეთილი საქმის გასაკეთებლად. მისი უგულითადესი სურვილი იყო, რომ სინათლის სხივმა, რამაც ვაათბო მისი აზრი და გონება, გასჭრას გარემო ბნელეთი, დაჩრდილოს ის და ყოველ სულდგმულს ასევე სათნოების ნექტარი. ადამიანებს ის სთვლიდა ძმებად, თანასწორად მოუწოდებ-

და ყველას, დამტკბარიყვნენ ისინი მათ მიერ შეყვარებულ იდეალების საფარველ ქვეშ.

თუმცა ასეთ მისწრაფებას: ემპირიულ სფეროდან პრაქტიკულ ნიადაგზე გადატანას იდეალებისა, არც თუ კეთილსაიმედოების სუნი უდიოდა, მაგრამ ლიბერალი ისე გულწრფელად ინაზებოდა და ამასთანავე ყველასთან ისეთი თავაზიანი და გულთბილი იყო, რომ მის არაკეთილსაიმედობასაც ხალხისით აპატიებდნენ ხოლმე. მას შეეძლო ჭეშმარიტების მოლიმარ სახით გამოთქმაც, როცა საჭირო იყო თავის მიაშიტად მოკატუნებაც და უანგარობით დაკვეხნაც. მთავარი კი ის იყო, რომ არასოდეს არ თხოულობდა ის დაჟინებით, არამედ ყოველთვის მხოლოდ შეძლებისდაგვარად.

გამოთქმა „შედლებისდაგვარად“ რასაკვირველია, დიდ საქებურ რამეს არ წარმოადგენდა; მისი გულისნადებისთვის, მაგრამ ლიბერალი ურიგდებოდა ამ მდგომარეობას უპირველეს ყოვლისა საქმის საერთო სარგებლობისთვის, რასაც ის ყოველთვის პირველ ადგილს უთმობდა და მეორეც იმიტომ, რომ თავისი იდეალები დაეცვა ტყუილუბრალთა და უდროოდ დაღუპვისგან. ვარდა ამისა ლიბერალმა ისიც იცოდა, რომ მის მასულდგმულებელ იდეალებს მეტისმეტად განყენებული ხასიათი აქვს, რათა უშუალო ზეგავლენა მოახდინოს ცხოვრებაზე. რა არის თავისუფლება? უზრუნველყოფა, თვითმოქმედება? ყველა ესენი განყენებული თერმინებია, რომელნიც საჭიროებენ უეჭველ ხელშესახებ შინაარსით შევსებას, რათა საბოლოო ჯამში მივიღოთ საზოგადოებრივი აყვავება. საერთოდ ამ თერმინებს შეუძლია აღზარდოს საზოგადოება, შეუძლია ასწიოს მისი რწმენისა და სასოების დონე, მაგრამ არ ძალუძს მოიტანოს ხელშესახები სიკეთე, რასაც შეეძლებოდა უშუალო კმაყოფილების შეგჭმნების გამოწვევა... რომ მიაღწიო ამ სიკეთეს, რომ იდეალი გახადო საერთო ხელშისაწლომად, საჭიროა მისი წვრილმანებად დახურდავება, ამ სახით წამოყენება მისი კაცობრიობის შემადარწუნებელ სატკივრების განსაკურნავად.

აი; სწორედ აქ, წვრილმანებად დახურდავებისას თავისთავად გამომუშავდება ეს გამოთქმა „შედლებისდაგვარად“, რომელიც ორს მოსაზღვრე მხარეთა შორის: ერთს აიძულებს რამდენადმე უარი სთქვას კარჩაკეტილობაზე, მეორეს კი — მნიშვნელოვნად შეამციროს თავისი მოთხოვნილება.

ყველაფერი ეს ჩინებულად გაიგო ჩვენმა ლიბერალმა და აღიჭურვა რა ამ მოსაზრებებით, საბოლოოველად მიადგა არსებულ სინამდვილეს. უპირველეს ყოვლისა მან, რასაკვირველია, მცოდნე პირებს მიმართა.

— თავისუფლება, მე მგონია აქ არაფერი დასაძრახისი არ უნდა იყოს? — ჰკითხა ლიბერალმა მცოდნე პირებს.

— არამც თუ დასაძრახი, მეტად სანაქებო საქმეა, — უპასუხეს მცოდნე პირებმა, — ეს ხო ცილისწამებაა, თითქოს ჩვენ არ გვესურდეს თავისუფლება. სინამდვილეში ჩვენ მხოლოდ თავისუფლებაზე ვოცნებობთ, მაგრამ თავისთავად ცხადია შესაძლებელ ფარგლებში...

— ჰმ, ფარგლებში.. მესმის! უზრუნველყოფაზე რაღას იტყვით?

— ესეც კეთილ ინებეთ... მაგრამ, რაღა თქმა, უნდა ესეც გარკვეულ ფარგლებში.

— ჩემი საზოგადოებრივი თვითმოქმედების იდეალი როგორღა მოგწონთ?

— მხოლოდ ესღა გვაკლია... მაგრამ უეჭველია, ისიც შესაძლო ფარგლებში.

— რა გაეწყობა! ფარგლებში, იყოს ფარგლებში! თვითონ ლიბერალი კარგად ხედავდა, რომ სხვა გამოსავალი არ იყო, აბა, მიუშვი ზერდაგი უაღვიროდ! ერთ წამში ისე აამტუტებს ყველაფერს, ერთ წელიწადს ველარ გამოასწორებ. ალვირი კი... წმინდა საქმეა ალვირი! მიდის ზერდაგი და უკან უკან იხედება... მე შენ, ზერდაგო, მათრახს გადაგიჭირებ, აი ასე!

და დაიწყო ლიბერალმა „შესაძლებელ“ ფარგლებში მართვაგამგებლობა. აქ მოჰგლეჯს, იქ ჩამოსჭრის... და მესამე ადგილას საესებით დაიმალება. მცოდნე ხალხი უყურებს ლიბერალს და უხარიათ. ერთ დროს ისე გაიტაცა ისინი ლიბერალის მუშაობამ, რომ კაცი იფიქრებდა, ესენიც ლიბერალები გამხდარიანო.

— იმოქმედე! — აქეზებდნენ ისინი ლიბერალს. — აქ გვერდი აუქციე, იქ მიმაღე, მესამე ადგილს სულ ნუ გაეკარები და ყველაფერი რიგზე იქნება. ჩვენ კი, საყვარელო მეგობარო, სიხარულით შეგიშვებთ ბოსტანში როგორც ბეკეკას, მაგრამ თვითონაც კარგად ხედავ რანაირი მესერით გვაქვს ბოსტანი გარშემოვლებული.

— ხედვით, ბარემ ვხედავ, — ეთანხმება მათ ლიბერალი, — მაგრამ, როგორ მრცხვენია, რომ ჩემს იდეალებს ვამსხვრევ. უი, სირცხვილო, ვაი, სირცხვილო!

— არა უშავს რა, ცოტა დაირცხვინე: სირცხვილი თვალებს არ დაგთხრის. სამაგიეროდ „შეძლებისდაგვარად“ შენს განზრახვასაც შეისრულებ.

მაგრამ იმის მიხედვითაც კი, რომ „შეძლებისდაგვარად“ ხორციელდებოდა ლიბერალური განზრახვა, მცოდნე პირები ხვდებოდნენ, რომ ლიბერალის იდეალებს ამ სახითაც არ უდიოდა ვარდ-ყვავილების სუნი. ერთის მხრივ ძალიან ფართოდაა მოფიქრებული; მეორეც — საკმაოდ მოუმწიფებელია და ათვისებისათვის მზად არ არის, — აუტანელია შენი იდეალები! — ეუბნებოდნენ ლიბერალს მცოდნე პირები, ჩვენ მზად არ ვართ, ვერ გავუძლებთ.

და ისე დაწვრილებით და გარკვევით ანგარიშობდნენ თავიანთ სულდგმულობას და უმწეობას, რომ ლიბერალი, რაგინდ მძიმე არ ყოფილიყო მისთვის, მაინც უნდა დათანხმებულიყო, რომ მართლაც მის წამოწყებაში არსებობს რაღაც ფატალისტური, არ ეტევა შარვალში და გათავდა.

— ოჰ, როგორი სამწუხარო ამბავა! — შესჩიოდა ლიბერალი განგებას.

— ახირებული ვინმე ხარ! — ანუგეშებდნენ ლიბერალს მცოდნე პირები. სატირალი ბარემ რომ გვაქვს. შენ რა გინდა! მომავალი უზრუნველყო შენი იდეალებით, ჩვენ ხომ ამაში ხელს არ გიშლით. მხოლოდ ქრისტეს გულისთვის, ნუ იჩქარი! თუ „შეძლებისდაგვარად“ არ ხერხდება, დაკმაყოფილდი იმით, რომ რაღასაც მაინც ჩაიგდებ ხელში. ამ რაღაცასაც ხომ თავისი ფასი აქვს... ჩუმ-ჩუმად და ნელნელა, აუჩქარებლად და პირჯვრის წერით — ხედავ უცებ ცალი ფეხი ბომონტზე გიდვას. შიგ ბომონტში კი მისი აშენების დღიდან ჯერ კაცს. არ შეუხედავს, — შენ აიღე და შეიხედე კიდევ... ამისთვისაც ღმერთს მადლობა უთხარი...

მეტი რა გზა იყო, ამასაც დასთანხმდა ლიბერალი. თუ „შეძლებისდაგვარად“ არ ხერხდება, ეცადე „რაღაც მაინც გამოგლიჯო და ამისათვისაც მადლობა სთქვი“. ლიბერალიც ასე მოიქცა. სულ მოკლე ხანში ისე შეეჩვია თავის მდგომარეობას, რომ უკვირდა კიდევ, როგორი სულელი ვიყავი, როცა ვფიქრობდი თითქო სხვა გზა არსებობდა და რაიმე სხვა გამოსავალი. აქ ყო-

ველგვარი მიმსგავსებანიც წამოეშველნენ. პურის მარცვალაც ხომ ნაყოფს ერთბაშად არ იძლევა. ისიც იბრანჭება. ჯერ უნდა დათესო. შემდეგ ელოდო, როდის დაიწყება გახრწნის პროცესი, შემდეგ აღმოცენდება, აუშვებს ღეროს, თაველს მოისხამს და ა. შ. აი, რამდენ ჯადოსნობაში უნდა გაიაროს მარცვალა, რომ ნაყოფი ერთიასად გამოიღოს. ასევეა აქაც — იდეალებისადმი დამოკიდებულების, ჯერ, „რაღაც მაინც“ დათესე. — დაჯექი და ელოდე.

და მართლაც: „ლიბერალმა“ „რაღაც“ დათესა. ზის და ელოდება. ელოდება, მაგრამ „რაღაცაც“ აგვიანებს აღმოცენებას. ქვას დაეცა მარცვალი, თუ რა მოხდა? იქნებ ნაგავში შეხურდა — წადი და გაარკვიე!

— ნეტა მართლა რა მიზეზია, — ბუტბუტებდა დიდად შეწუხებული ლიბერალი.

— მიზეზი ის არის, რომ ძალიან ფართოდ მიიფოცხავ! — პასუხობდნენ მცოდნე პირები. — ჩვენი ხალხი კი სუსტია, უმწეო — სულმდაბალი. შენ მისთვის კეთილი გსურს, ის კი ცდილობს როგორმე ცვარით დაგაღრჩოს. დიდი მარიფათია საჭირო, რომ ამ ხალხში თავი წმინდად შეინახოს კაცმა.

— გვაპატიეთ! ახლა რა დროს სიწმინდეზე ლაპარაკია! რანაირი მარაგით დავადექი გზას და გავათავე მით, რომ ყველაფერი გზაში დავკარგე. პირველად „შეძლებისდაგვარად“ ვმოქმედობდი, მერე „რაღაც მაინცზე“ ჩამოვბტი. ნუთუ ამას იქითაც შეიძლება წავიდეს კაცია?

— რასაკვირველია, შეიძლება. მაგალითად, არ გინდა იმოქმედო „თაღლითობასთან შეგუების“ გზით?

— როგორ?

— სულ უბრალოდ. შენ ამბობ, რომ ჩვენ მოგვიტანე იდეალები, ჩვენ კი გეუბნები: ჩინებულია. მხოლოდ თუ შენ გსურს რომ ჩვენც თანაგვირძნოთ, იმოქმედე „შეგუების“ გზით.

— აჰა?!

— მაშ ასე, შენი იდეალებით ცხვირს მალა ნუ იწეე, არამედ ჩვენი მასშტაბის მიხედვით შეამცირე და შეგუებით იმოქმედე. შემდეგ კი... თუ ჩვენც სარგებელი რამ დავინახეთ... ჩვენც, ჩემო ძმაო, დაგეშილი მგლები ვართ, პროექტორები ჩვენც გვინახავს ხოლმე! ამასწინათ გენერალი კროკოდილოვიც ასევე გამოგვეცხადა: „ბატონებო, — ამბობდა ის, — ჩემი იდეალია ვირის აბანო! მობრძანდითო“. ჩვენც სულელებმა დავუჯერეთ და ახლა, აგერ, ჩაკეტილნი ვყევართ სულყველანი.

ამ სიტყვების გამგონე ლიბერალი მწარედ დაფიქრდა. მისი პირველყოფილი იდეალებიდან ისედაც იარლიკილა დარჩა და აქ კიდევ, დამატებით, ფლიდობა-უნაშუსობისკენ გვეწევიან. ამას რომ გავყვეთ, მოხედვას ვერ მოასწრებ, რომ შენც ფლიდი და თაღლითი გახდები! ღმერთო, მიშველე!

მცოდნე პირებმა რაკი დაინახეს ჩაფიქრებული ლიბერალი, თავის მხრივაც ძალა დაატანეს: რაკი შენ ლიბერალი, ფაფის ხარშვას შეუდექი, ახლა ნულარ ეშვაკობ, ხარშე ბოლომდე... შენ ხომ აგვაფორიაქე, კეთილ ინებე და შენვე დავგაწყნარე. აბა, შეუდექ!

და შეუდგა ლიბერალი. დაიწყო ყველაფერი „ფლიდობასთან შეგუებით“. ზანდაზან ცდილობს გვერდი აუქციოს უნაშუსობას, მაგრამ მცოდნე პირები მაშინვე მაჯაში სტაცებენ ხელს: საით, ლიბერალო, დაბრუციანდი? იტყირე პირდაპირ!

ამგვარად მიდიოდნენ დღეები, და მასთან ერთად წარმატებით მიდიოდა წინ „ფლიდობასთან შეგუების“ საქმეც. იდეალების ხსენებაც აღარ იყო. დარჩა ერთი სიძნელე — მაგრამ ლიბერალი გულს მაინც არ იტეხდა: რა ვუყოთ რომ მე ჩემი იდეალები ყურებად შეიძლება სიბინძურეში ჩავვალ, სამაგიეროდ მე ვდგევარ უვნებლად, როგორც ბურჯი. დღეს წუმპეში ვდგევარ, მაგრამ ხვალ მზე გამოიხედავს, წუმპეს გააშრობს და ისევ ყოჩაღად ვიქნები. მცოდნე პირები ყურს უგდებდნენ ლიბერალის ამ ტრახახობას და ემოწმებოდნენ: სწორედ ასე არისო. და აი, ერთხელ ის თავის მეგობართან ერთად ქუჩაში მიდიოდა, ჩვეულებრივად იდეალებზე ლაყბობდა და თავის სიბრძნე ცამდე აჰყავდა, რომ ერთბაშად იგრძნო ლიბერალმა თითქო ლოყაზე რამდენიმე შხეფი მოხვდა. საიდან? როგორ? ლიბერალმა მაღლა აიხედა. ხომ არ წვიმსო. ხედავს ცაზე არსად ღრუბელი არ სჩანდა და მზე ზენიტზე დამხუთრულივით თამაშობს. ქარი კი უბერავს ცოტათი, მაგრამ რაკი ფანჯრიდან ნარეცხის გადმოღვრა აკრძალულია, არც ამ ოპერაციაზე შეიძლება რაიმე ეჭვის მიტანა.

— ეს რა სასწაულია! — ეუბნება მეგობარს ლიბერალი, — წვიმა არ მოდის, ნარეცხი არავის გადმოუღვრია, მე კი ლოყაზე შხეფები მომხვდა.

— აგერ, ხედავ, მოსახვევში რომ ვილაც მიიმალა? — უბასუხა ლიბერალს მეგობარმა, — ეს სულ იმის საქმეა. შენი ლიბერალური საქმეების გამო, — უნდოდა შენთვის მოეფუროთხებინა, მაგრამ პირდაპირ თვალეში მოეფუროთხება ვერ გაბედა. აი, იმანაც „უნამუსობასთან შეგუების“ გზის მოსახვევიდან გააფუროთხა და ქარმა მხოლოდ შხეფები მოგაყარა....

სთარგმნა. პანტელეიმონ ჩიკვაძე.

ქ რ ი ტ ი კ ა

პრ. ასტვაცატუროვი

ლენინი, სვალინი და შჩედრინის სავიკა

სალტიკოვ-შჩედრინის გარდაცვალებიდან 50 წლის
შესახებების გამომ

გასული საუკუნე რუსეთის ისტორიაში შევიდა როგორც საზოგადოებრივი აზროვნების აღორძინებისა და ხელოვნებისა და ლიტერატურის სრული გაფურჩქვნის საუკუნე. მეცხრამეტე საუკუნეში არცერთი ქვეყნის მწერლობას არ წამოუყენებია იმდენი მბრწყინვალე სახელები, რამდენიც წარმოშვა რუსეთმა. პუშკინით, გოგოლით, ტოლსტოით, ნეკრასოვით, ტურგენევით და სხვებით სამართლიანად ამაცობს მსოფლიო ლიტერატურის კულტურა. მათ უდიდესი პოტენციალური ძალით წასწიეს წინ და განავითარეს მხატვრული სიტყვა, აამაღლეს ის ოსტატობის ახალ სიმაღლემდე, გაასხიოსნეს წარმტაცი ფერებით, გაამდიდრეს საკაცობრიო იდეალებითა და შეუდარებელი მხატვრული სახეებით, ხასიათებით.

დიდი სატირიკოსი სალტიკოვ-შჩედრინი დამსახურებულად უდგია გვერდში რუსეთის კლასიკური მხატვრული ლიტერატურის ამ უდიდეს შემოქმედელს. როგორც სატირიკოსი მხატვრული აზროვნების სიძლიერით შჩედრინი უსწორდება მსოფლიო კლასიკოსებს. მისი მახვილი კალმით დახატული ტიპები, სახეები და ხასიათები დღემდე რჩებიან შეუდარებელ ნიმუშებად და ინარჩუნებენ მკითხველზე ცხოველმყოფელური ზემოქმედების ძალას. სოფლმხედველობით შჩედრინი ეკუთვნის სამოციანი წლების მოწინავე განმანათლებლებს, რევოლუციური დემოკრატებს. მთელი თავისი ცხოვრება და ლიტერატურული მოღვაწეობა მწერალმა მოახმარა მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვასა და მისი გათავისუფლების საქმეს.

სალტიკოვ-შჩედრინის სოფლმხედველობისთვის დამახასიათებელია ყველა ის დადებითი და უარყოფითი თვისება, ძლიერი და სუსტი მხარე, რაც მთელი 60-იანი წლების რევოლუციური ინტელიგენციისთვის. მან ფილოსოფიური შეხედულებანი შეითვისა ფრანგი უტოპისტ მოაზროვნეებისაგან, პირველ პერიოდში იმყოფებოდა მათი ძლიერი გავლენის ქვეშ, შემდეგ კი გახდა ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის მიმდევარი. მოღვაწეობის მეორე ნახევარში შჩედრინი იყო მატერიალისტი, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო სავსებით გათავისუფლებული იდეალისტური ფილოსოფიის გავლენისაგან. საზოგადოებრივ ურთიერთობის გარდაქმნაში გადაჭარბებულ როლს აკუთვნებდა განათლებულ ხალხს, ინტელიგენციას. შჩედრინი ბოლომდე შერჩა იდეალისტურ რწმენას იდეისადმი, როგორც გადამწყვეტი ძალისადმი ისტორიულ მოძრაობის საქმეში.

მაგრამ, დიდი მწერლის მხატვრულ აზრს ყოველთვის გზას უნათებდა ღრმა დემოკრატიული იდეა და დაუცხრომელი სიმპატია მშრომელი ხალხისადმი, შე-

ჟრიგებელი სიძულვილი სოციალური ბოროტებისადმი, არაადამიანურისადმი, ადამიანის სიყვარული და ადამიანურის გრძობა წარმოადგენდა საფუძველს შჩედრინის მხატვრული აზროვნებისას. ეს აძლევდა მწერალს საშუალებას აგრეთვე იმისას, რომ მთელი უშუალოდით დაენახა გაბატონებული საზოგადოებრივი ცხოვრების დამახასიათებელი მოვლენები, მის უკიდურეს წვრილმანებად, და უდიდესი სიმართლითა და რეალისტურად აესახა ისინი.

სალტიკოვ-შჩედრინის სატირა იძლევა ნათელ სურათს მეფის ბიუროკრატიის, ფეოდალ-მემამულეების აღვირახსნილობისა და მშრომელი გლეხობის მძიმე მდგომარეობისას ბატონყმურ და შემდგომ რევოლუციამდელ რუსეთში. იმ პირველ ნაწარმოებებში, რომლებმაც მიიპყრეს საზოგადოებრივი ყურადღება („წინააღმდეგობანი“ 1847 წ. „აწეწილი საქმე“, 1848 წ.), შჩედრინმა დააყენა სოციალური უთანასწორობის პრობლემები, გვიჩვენა ღარიბი ადამიანები, რომლებიც ბედით დაჩაგრულნი, შეურაცხყოფილნი და დამცირებულნი იყვნენ მეფის რუსეთში. მომავალ დიდ მწერალზე ამ ნაწარმოებებში პირველად ვამოაშკარავდა ფრანგი უტოპისტების იდეური გავლენა, რამაც მეფის მთავრობა ძალიან აღაშფოთა. აღნიშნულ ნაწარმოებებისთვის მწერალი გადაასახლეს ყრუ და შორეულ ქალაქ ვიატკაში, მოსწყვიტეს ცენტრს, რათა უფრო ნაკლებ საშიშარი ყოფილიყო ის და წართმეოდა სურვილი გაბატონებული ურთიერთობისადმი წინააღმდეგობისა, მაგრამ მთავრობის ამ ზომამ მწერალში საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო. შჩედრინი უფრო ღრმად დაუკვირდა ხალხის ცხოვრებას, პროვინციულ ქალაქების ყოფას, სახელმწიფო მოხელეთა თავაშვებულ და უღარდელ მოქმედებას, ახლო გაეცნო ფაქტიურ სინამდვილეს და უშუალო დაკვირვებით მდიდარი მასალა აღბეჭდა თავის ცნობიერებაში შემდგომი მხატვრული შემოქმედებითი მუშაობისთვის. ვიატკაში ყოფნისას ერთ თავის სასამსახურო მოხსენებაში შჩედრინი სწერდა:

„აქაური გლეხობა საერთოდ მთლიანად უკიდურეს ღარიბ მდგომარეობაში იმყოფება და, თუმცა არიან მათ შორის საკმაოდ შეძლებულნი, მაგრამ ისინი ასეთებად გვეჩვენებიან მხოლოდ შედარებით სხვებთან, რომლებსაც არა აქვთ თითქმის არავითარი საშუალება არსებობისთვის.“

შვიდი წლის განმავლობაში შჩედრინი მოკლებული იყო საშუალებას ყრუ და მივარდნილ პროვინციიდან დაკავშირებოდა ცენტრალურ ქალაქებში მცხოვრებ მოწინავე ადამიანებს და მხატვრული სიტყვით აქტიური მონაწილეობა მიეღო უკეთესი მომავლისთვის ბრძოლაში. ვიატკიდან დაბრუნების შემდეგ შჩედრინმა ფართოდ გაშალა ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა. ჯერ „საგუბერნიო ნარკვევებში“, შემდეგ „კეთილგამზრახ სიტყვებში“, „უდანაშაულოთა მოთხრობებში“, „სატირა პროზად“, „ერთი ქალაქის ისტორიაში“, „პომპა-დურებში“, „ბატონ გოლოვლევებში“, „ზლაპრებში“, „პოშეხონურ ძველ დროში“ და სხვ. უდიდესი სიმართლითა და მხატვრული დამაჯერებლობით გვიჩვენა მეფის რუსეთის საზოგადოებრივი ყოფა, გაბედულად გაილაშქრა, როგორც მეზრძოლმა ჰუმანისტმა, სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ, ადამიანის დამცირებისა და შეურაცხყოფის წინააღმდეგ. ამ ნაწარმოებებში გარკვევით მოსჩანს მწერლის რევოლუციურ-დემოკრატიული სოფლმხედველობის თანმიმდევრული ევოლუცია.

„საგუბერნიო ნარკვევებში“ შჩედრინი მწარედ დასცინოდა ხალხის მჩაგვრელებს, მეფეს მოხელეებსა და მემამულეებს. ამასთან უდიდესი სიმპატიით,

თანამგრძობითა და სითბოთი ხატავდა მშრომელი მასის, გლეხობის მძიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. „ნარკვევებში“ გაისმა დემოკრატი მწერლის ძლიერი ხმა, რასაც მაშინვე მიხვდნენ და მიესალმნენ იმდროინდელი რუსეთის მოწინავე ადამიანები. შჩედრინის შემდგომ ნაწარმოებებში უფრო ფართოდ აისახა გლეხური მასა, მისი ძლიერი და სუსტი მხარე. უდიდესი მხატვრული სიმართლით და რევოლუციურ-დემოკრატიის ჩვეულებრივი გამბედაობით გამოააშკარავა მწერალმა ბატონყმური რუსეთის მთელი სიმახინჯე. („კეთილგამზრახი სიტყვები“), შეამჩნია საზოგადოების ერთმანეთისადმი ანტაგონისტურად განწყობილ კლასებად დაყოფა და რეალისტურად ასახა ის, გვიჩვენა გლეხების საბრძოლო განწყობილება — პერსპექტივები („უდანაშაულოთა მოთხოვნები“). მწერალმა პოლიტიკური სიმახვილე და ფანტაზიის ვანმსაკუთრებული უნარი გამოამჟღავნა „ერთი ქალაქის ისტორიაში“, „ბატონ გოლოვლევეებში“, „პომპადურებში“ და „ზლაპრებში“. ეს ნაწარმოებნი ასახავენ მეფის რუსეთისა და მისი სახელმწიფოებრივი სისტემის ტიპიურ სურათს, ისინი წარმოადგენენ ნამდვილ პაროდის მეფის თვითმპყრობელობაზე. ყოველ ტიპში, მიუხედავად მათი ინდივიდუალური ნიშნებისა, შჩედრინი ხაზს უსვამს საერთო თვისებას, ჰქმნის შემკრები ხასიათების ზოგად მხატვრულ სახეს. თითქმის ყველა ნაწარმოებში მწერალს წინაპლანზე გამოაქვს საზოგადოებრივი მოვლენები, როგორც მხატვრული გააზრების ძირითადი ობიექტი, ერთ განმარტოვებელ ცენტრში უყრის თავს კერძო საკუთრებას, ფეოდალურ ოჯახსა და სახელმწიფოს. მათი მხატვრული ანალიზისა და კონკრეტულ მოვლენების განზოგადების, ზოგადი ტიპიური სახის შექმნის დროს იგი იცავს ისტორიულ-ლოგიკურ და მხატვრულ კანონზომიერებას. შჩედრინის მხატვრულ შემოქმედებაში უჩვეულო პირდაპირობით არის გამოამჟღავნებული ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობისა და ცარიზმის მომაკვდავი ხასიათი. ამაში იყო მწერლის ნიჭის საიდუმლოება. თანამგრძობნიც და მტრებიც გაოცებული იყვნენ იმით, თუ როგორი ოსტატობით ახერხებდა ის საჯაროდ და გაბედულად ეთქვა საზოგადოებისათვის ის, რაზეც სხვა თავისთავთან ჩურჩულსაც ვერ გაბედებდა.

ეს აძლევდა შჩედრინის სატირას განსაკუთრებულ მნიშვნელობას და გარდუვალ ძალას, ხდიდა მას ყოველ დროსთვის აქტუალურსა და პრაქტიკული მნიშვნელობის შემცველს რევოლუციონერების ხელში მშრომელი ხალხის ამკარა და შენიღბული მტრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ჯერ კიდევ მარქსი აფრთოვანებაში მოიყვანა შჩედრინის სატირის პოლიტიკურმა სიმახვილემ, პირუთვნელმა სიმართლემ და მხატვრულობამ. მსოფლიო პროლეტარიატის უდიდესი ბელადი ვლადიმერ ლენინი ძალიან ხშირად მიმართავდა შჩედრინის ტიპებს და იყენებდა მათ მუშათა კლასის მტრთან ბრძოლაში, ამ კლასის ცრუ „მეგობრების“ გამოაშკარავებასა და განადგურებაში.

ვლ. ლენინს ძალიან ხშირად უყვარდა რუსეთისა და მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებიდან ციტატებისა და სახეების გამოყენება პოლიტიკური ბრძოლის დროს, მაგრამ ყველაზე მეტჯერ მას გამოყენებული აქვს შჩედრინი. ლენინის ნაწერებში შჩედრინი ვხვდება სამასჯერ, მაშინ, როცა სხვა მწერლებიდან ვერც ერთს ვერ ვხვდებით ასზე მეტჯერ. განსაკუთრებით ხშირად იყენებდა ლენინი „ზლაპრებს“, „პომპადურებსა“ და იუდუშკას სახეს („ბატონი გოლოვლევეები“). იუდუშკაში მწერალმა დიდი მხატვრული ოს-

ტატობით შეაერთა უპარყოფითი ხასიათები ფეოდალური საზოგადოებისა და შექმნა კერძომესაკუთრების მხეცური მოტრფიალის, ცბიერის, მოლაღატის, ვაიძვერას, ფარისევლის მსოფლიო მნიშვნელობის ტიპი.

ვლ. ლენინი შჩედრინის სატირიკულ ნაწარმოებებს იყენებდა ჯერ კიდევ 90-იან წლებში ხალხის ცრუ „მეგობრების“ წინააღმდეგ, 80 — 90-იან წლების ხალხოსნების წინააღმდეგ, რომლებიც მუცლით ხობავდნენ მეფის მთავრობის წინაშე და ამავე დროს ფარისევლობდნენ ხალხთან. ააშკარავებს რა იუჟაკოვის ფარისევლობას, რომელიც „ამტკიცებდა“, რომ მთავრობამ შეამცირა სახალხო ტვირთი და ამით ხალხი იხსნა საბოლოო გაღატაკებისაგანო, ლენინი სწერს: „ესეც კლასიკური ფრაზაა თავისი ლაქიური უსირცხვილობით, ის შეიძლება გვერდში დაუყენოთ მხოლოდ ბ. მისაილოვსკის განცხადებას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ უნდა შევექმნათ პროლეტარიატიო. არ შეიძლება ამის გამო არ გავიხსენოთ შჩედრინის მიერ აღწერილი ისტორია რუსის ლიბერალის ევოლუციისა. ეს ლიბერალი იწყებს იქიდან, რომ მთავრობას რეფორმებს თხოვს, „შეძლებისამებრ“, შემდეგ ხანაგრძობს და იხვეწება „ცოტა რამე მაინც გვიბოძეო“; ხოლო ასრულებს მუდმივი და შეურყეველი პოზიციით „სიმდაბლესთან შეფარდებით“. მართლაც როგორ არ უნდა ვთქვათ „ხალხის მეგობრების“ შესახებ, რომ მათ დაიჭირეს ეს მუდმივი და შეურყეველი პოზიცია, რომ ისინი რამდენიმე მილიონი ხალხის შიმშილის შემდეგ სწერენ, მთავრობამ ხალხი იხსნა საბოლოო განადგურებისაგანო!! (ტ. I, გვ. 228 — 29).

ვლ. ლენინი იქვე თანმიმდევრულად ავითარებს შეტევას ხალხის ცრუ მეგობრების წინააღმდეგ, ააშკარავებს რუსეთში საშუალო საუკუნოებრივი, ნახევრად ბატონყმური ნაშთების არსებობას, რომლებიც მძიმე ტვირთად აწევს პროლეტარიატს, საზოგადოდ ხალხს და აფერხებს პოლიტიკური აზრის ზრდას ყველა წოდებასა და კლასებში. „მუშებმა უნდა იცოდნენ, — ამბობს ლენინი, — რომ თუ რეაქციის ბურჟუები არ დაამხეს, მათ არ შეეძლებათ წარმატებული ბრძოლა აწარმოონ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ სოფლის პროლეტარიატი, რომლის დახმარება აუცილებელი პირობაა მუშათა კლასის გამარჯვებისთვის, ვერასოდეს ვერ გამოვა დაბეჩავებულ ხალხის მდგომარეობიდან“, და იქვე სხოლიოში შენიშნავს: „განსაკუთრებით რეაქციონურ დაწესებულებას, რომელსაც ჩვენი რევოლუციონერები შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ბ ი უ რ ო კ რ ა ტ ი ა... ბიუროკრატია თავისი წარმოშობითაც და მოღვაწეობის ხასიათითაც უაღრესად ბურჟუაზიულია, მაგრამ აბსოლუტიზმმა და „კეთილშობილი“ მემამულეების უზარმაზარმა პოლიტიკურმა პრივილეგიებმა მას განსაკუთრებით საშიში თვისებები მისცეს. ესაა მუდმივი ფლიუგერი, რომელიც თავის მიზნად ისახავს მემამულისა და ბურჟუის ინტერესების შეთანხმებას. ესაა იუდეუშკა, რომელიც თავის „კრეპოსტნიკულ სიმპატიებსა და გავლენას მუშებსა და გლეხების მოსატყუებლად იყენებს და „ეკონომიურად სუსტი დაცვისა“ — და მათზე „ოპეის“ სახით (კულაკისა და ჩარჩისაგან დასაცავად) ისეთ ზომებს ღებულობს, რომელიც მშრომელებს ხელფებო შეკრულთ აძლევს მემამულეს და ბურჟუაზიას. ესაა სახიფათო ფარისევლი, რომელიც გამობრძმედილია დასავლეთ-ევროპიულ რეაქციონერ ოსტატების სკოლაში და თავის არაკჩევისებურ ზრახვებს ხალხის მოყვარულ ფრაზების სამოსელში ხვევს“ (იქვე, გვ. 259).

თავის კაპიტალურ შრომაში „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“, ვლენინი, ახასიათებს რა საბატონო მეურნეობის ეკონომიკას რუსი გლეხის ცხოვრების დონისა და პირობების შესახებ, იყენებს რუსი გლეხის მდგომარეობის დახასიათებას შჩედრინის მიერ. ლენინი სწერს: „მ. ე. სალტიკოვი „Мелочи жизни“-ში სწერს... მომჭირნე გლეხი პირდაპირ აკლავს თავს მუშაობას“. „ცოლიც და მოზრდილი ბავშვებიც იტანჯებიან ისე, როგორც კატორღაში“ (ტ. III, გვ. 256).

„შემთხვევით შენიშვნებში“, „დამშეთლებთან ბრძოლაში“ და „შინაურ მიმოხილვაში“ ლენინი შჩედრინის იუდაშკა გოლოვლევის სახეს იყენებს მემამულეთა კლასის დამცველ მეფის ბიურაჟრატის ფარისევლური როლის გამაშკარავებისთვის: აშიშვლებს რა მეფის მთავრობის ოფიციალური განცხადებების სიყალბეს, მის მოჩვენებით შინაარსს ხალხზე მზრუნველობის შესახებ. ლენინი სწერს: „ისინი ძალიან გვანან უკვდავი იუდუშკა გოლოვლევის უკვდავ სიტყვებს, — იმ იუდაშკა გოლოვლევის, რომელიც ანგარიშს აძლევდა და ეკითხებოდა მის მიერ გაძარცულ გლეხებს“ (ტ. IV, გვ. 362).

პირველი რევოლუციისა და რეაქციის წლებში იუდუშკას სახეს ლენინი იყენებს კადეტების განადგურებისთვის, რომლებიც თვალთმაქცურად ფარავდნენ ხალხის მასების თვალში თავიანთ ექსპლოატატორულ ბუნებას, ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ჯგუფის გამოაშკარავებისთვის, რომელიც ფარისევლურად ღალატობდა თავისუფლების ინტერესებს. თავის წერილში „შეკვეთილი პოლიციურ-პატრიოტული დემონსტრაცია“ ლენინი, ეხებოდა რა პროფკაპუსტინს, კადეტების იმედს, რომელიც სათათბიროს სხდომაზე „საჩქაროდ გუჩკოვის კვალს გაჰყვა და მისი პოლიტიკა საზიზღარ-ნელსაცხებელი ლიბერალური პირმოთენობით შეანელა“, სწერდა:

„...იუდუშკა გოლოვლევი შორს არ არის ამ პარლამენტარისაგან!“ (ტ. მე-12, გვ. 200). იუდუშკა და შჩედრინის სხვა სახეები ლენინს განსაკუთრებით მახვილად აქვს გამოყენებული მუშათა მოძრაობის შიგნით შენიღბულად არსებულ ფარისეველი მოღალატეების წინააღმდეგ ბრძოლაში. პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ, როცა ტროცკი საზიზღარი ცილისწამებებით გამოვიდა ძველი „ისკრის“ მიმართ და უსირცხვილოდ იმეორებდა ლენინისა და ბოლშევიკების ყველა ჯურის მტრების ცილისწამებებს, ლენინმა მას უწოდა ბალაიკიანი — ტროცკი. პარტიის შიგნით გამწვავებული ბრძოლის პერიოდში პირველი რევოლუციის შემდეგ ლენინი შესანიშნავად იყენებდა შჩედრინს ყველა ჯურის ფარისევლების წინააღმდეგ. ლენინმა მოხდენილად მოუნახა შინაგანი მსგავსება შჩედრინის იუდუშკასა და ტროცკის, ლენინი იუდუშკას უწოდებდა კაუტსკისაც, რომელიც იყო სათავე მსოფლიო და სამოქალაქო ომების პერიოდში საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიაში გამეფებულ მოღალატეობისა.

მაგრამ შჩედრინის შემოქმედება ყურადღებას იპყრობს არა მარტო მახვილი მხატვრული სახეებით, ხასიათებით, არამედ თავისი დროისათვის რევოლუციური სოფლმხედველობითაც. შჩედრინი დაუნდობელი მოწინააღმდეგე იყო ლიბერალიზმის, ის ყოველთვის რევოლუციისა და რევოლუციონური მეთოდების მხარეზე იყო. მას არაერთხელ გაუკიცხავს და დაუცინია ისეთ რევოლუციონერებისთვის, რომლებიც გულხელდაკრეფილნი მოელოდნენ „რევოლუციას“, აღიარებდნენ რესპუბლიკას რესპუბლიკელების გარეშე, რეაქციის პერიოდში.

როცა პლენაროვი, ტიპიური მენშევიკი ვასილევნი და მენშევიკები გამოდიოდნენ კადეტებთან კავშირის აღიარებით კონსტიტუციის ინტერესებისთვის, ლენინი შკატრად ილაშქრებდა მათ წინააღმდეგ და ააშკარავებდა ამ პოლიტიკის ნამდვილ მოლაპატურ ბუნებას. „ვასილევები, — სწერდა ლენინი, — ლაპარაკობენ რევოლუციისაზე, რომელმაც უნდა შობოს „კონსტიტუცია“ და მეტი არაფერი, — შობოს ყოველგვარი აკუშერის დაუხმარებლად, რევოლუციონერების გარეშე. არც აკუშერები, არც რევოლუციონერები, არც რევოლუციური ხალხი, — აი ვასილევის ლოზუნგი.

შიედრინმა ოდესლაც კლასიკურად გაკილა საფრანგეთი, რომელმაც კომუნარები დახვრიტა, — რუსეთის ტირანების წინაშე ქვემძრომ ბანკირთა საფრანგეთი, — როგორც რესპუბლიკა, სადაც არ არიან რესპუბლიკელები. დროა გამოჩნდეს ახალი შიედრინი, რომ სასაცილოდ აიგდოს ვასილევნი და მენშევიკები, რომელნიც იცავენ რევოლუციის ლოზუნგით — „არც“ რევოლუციონერები და „არც“ რევოლუცია (ტ. მე-10, გვ. 300).

იუშჩევიჩის წინააღმდეგ, რომელმაც დასწერა წერილი „რევოლუცია და სამოქალაქო ომი“ და რომელშიაც ის ურჩევდა მუშათა კლასს ზელი აელო სამოქალაქო ომის მეთოდებზე, 1919 წელს ლენინი სწერდა: საერთაშორისო ბურჟუაზიამ, პირველად გერმანიისა, შემდეგ ინგლის-საფრანგეთის, დაიწყო ომი რუსეთის გამარჯვებულ პროლეტარიატთან და გამოჩნდა კაცი, რომელიც თავს სოციალისტს უწოდებს, და, გადადის რა ბურჟუაზიის მხარეზე, ურჩევს მუშებს „გადაადგონ“ სამოქალაქო ომის მეთოდები! განა ეს არ არის იუდუშკა ვოლოვლიევი უახლოესი კაპიტალისტური ფორმაციისა?

აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანეთ. ლენინი სისტემატიურად სარგებლობდა შიედრინის მხატვრული სახეებით, მოსწრებულნი ფრაზებით, იგი განსაკუთრებით იყენებდა შიედრინის ლიბერალებთან ბრძოლაში, რომლებიც მწერალს სულის სიღრმემდე სძულდა. „შიედრინი, — სწერდა ლენინი, — სასტიკად დასცინოდა ლიბერალებს და სამუდამოდ დადღა ისინი ფორმულით „სიმდაბლესთან შეფარდებით“. ლენინი ნეკრასოვთან ერთად დიდად აფასებდა შიედრინის შემოქმედებისა და სოფლმხედველობის პროგრესიულ მნიშვნელობას. „ჯერ კიდევ ნეკრასოვი და სალტიკოვი, — სწერდა ის, — ასწავლიდნენ რუს საზოგადოებას დაენახა ბატონყმობის მოტრფიალე მემამულის განათლების შელამაზებულ და საცხებელ წასმულ გარეგნობის ქვეშ მისი მტაცებლური ინტერესები. ასწავლიდნენ ზიზლს ასეთი ტიპების ფარისევლობა-უსულგულობისადმი“. (ტ. მე-12, გვ. 11).

სალტიკოვ-შიედრინის მიერ მხატვრული ოსტატობით შექმნილი ტიპებისა და ხასიათების შემოქმედებითი და გამოყენებითი მნიშვნელობა ადამიანთა შეგნებიდან დრომოქმული საზოგადოებრივი წყობის ნარჩენების აღმოფხვრისთვის ბრძოლაში და ბრძოლაში საერთაშორისო ბურჟუაზიის წინააღმდეგ დღემდე არ შენელებულა.

დიდი სტალინი არა ერთხელ მიმართავს შიედრინს. სტალინი შიედრინს უწოდებს „დიდ რუს მწერალს“. თავის სიტყვაში სამეურნეო მუშაკთა ამოცანების შესახებ 1931 წელს ამხანაჟ სტალინს, აკრიტიკებს და დასცინის რა იგი ბიუროკრატ სამეურნეო ხელმძღვანელებს, რომლებიც საქმის ტექნიკის დაუფლებისა და კონკრეტულ-ობარატიულ ხელმძღვანელობის ნაცვლად ქალაქებზე ხელის მოწვრით კმაყოფილდებიან, მოჰყავს შიედრინს „უმამაღუ-

რებიდან“ მაგალითი: „ზომ განსოვთ, პომპადურთ ქალი როგორ ასწავლიდა ჭკუას ახალგაზრდა პომპადურს: თავს ნუ იმტვრევ მეცნიერების შესწავლით, ნუ ჩაუტვირდები საქმეს. დეე სხვებმა აკეთონ ეს, შენი საქმე არ არის ეს,—შენი საქმე ხელმძღვანელობაა, ქალაქებზე ხელის მოწერა“. („ლენინიზმის საკითხები“, გვ. 525). იმავე წელს სამეურნეო მუშაკთა თათბირზე, ამხანაგი სტალინი, ესებოდა რა საწარმოო გეგმების შესრულებას, დასცინოდა პარტიასთან ახლო მდგომ ობივტელებს, რომლებსაც ჩვენი საწარმოო გეგმა არარეალურად მი-აჩნდათ. „არის პარტიასთან ახლო მდგომი ზოგიერთი ობივტელი, რომელიც გვარწმუნებს, რომ ჩვენი საწარმოო პროგრამა არარეალურია, განუხორციელებელია. ისინი მოგვაგონებენ შჩედრინის „უბრძნეს პესკარებს“, რომლებიც მუ-დამ მზად არიან გაავრცელონ თავის გარწმეო უსუსური აზროვნების სიცარიე-ლე“ (იქვე, გვ. 551).

ახალი კონსტიტუციის შესახებ ისტორიულ მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა მწარედ დასცინა გერმანულ ოფიციალს „დეტიშე დიპლომატიშე-პოლიტიშე კორესპონდენტს“, რომელიც თავხედურად აკრიტიკებდა ჩვენი ახალი კონსტიტუ-ციის პროექტს და არ აღიარებდა ნამდვილ კონსტიტუციად, რადგან საბჭოთა კავშირს სთვლიდა არა სახელმწიფოდ, არამედ გეოგრაფიულ ცნებად, რომე-ლიც 1917 წლის ოქტომბერი აღმოაჩინეს და, მაშასადამე, შეიძლება კვლავ დაიხუროს (!), ამბობდა:

„ერთ-ერთ თავის ზღაპარ-მოთხრობაში დიდი რუსი მწერალი შჩედრინი იძლევა თავნება ბიუროკრატის ტიპს, რომელიც ძალიან შეზღუდულია და გონებაჩლუნგი, მაგრამ უაღრესად დარწმუნებული თავისთავში და ფიცხი. მას შემდეგ, რაც ამ ბიუროკრატმა მისადმი „რწმუნებულ“ ოლქში „წესრიგი და სიწყინარე“ დაამყარა, რისთვისაც ათასობით მცხოვრებნი გაულიტა და ათაბით ქალაქები გადასწვა, მან ირგვლივ მიმოიხედა და ჰორიზონტზე შენიშნა ამე-რიკა, რასაკვირველია, ნაკლებად ცნობილი ქვეყანა, სადაც, თურმე, არის რა-ღაც თავისუფლებები, რომლებსაც ხალხში შფოთი შეაქვთ და სადაც სახელ-მწიფოს სხვა მეთოდებით მართავენ. ბიუროკრატმა ამერიკა შენიშნა და აღშ-ფოთდა: ეს რა ქვეყანაა, საიდან გაჩნდა იგი, რომელი ასეთი საბუთით არსე-ბობს იგი? (საერთო სიცილი). რასაკვირველია, იგი შემთხვევით აღმოაჩინეს რამდენიმე საუკუნის წინათ, მაგრამ ვანა არ შეიძლება მისი კვლავ დახურვა, რომ მისი ხსენებაც აღარ იყოს?“ (საერთო სიცილი). და, სთქვა თუ არა ეს და-ადო რეზოლუცია: „კვლავ დაიხუროს ამერიკა!“ (საერთო სიცილი).

მე მგონია, რომ ვაუბატონები „დეტიშე დიპლომატიშე-პოლიტიშე კორეს-პონდენტციიდან“, როგორც ორი წვეთი წყალი, ისე ჰგვანან შჩედრინის ბიურო-კრატს. (საერთო სიცილი, მოწონების ტაში)...

ადებდა რა რეზოლუციას იმის შესახებ, რომ კვლავ დახურულიყო ამე-რიკა, შჩედრინის ბიუროკრატმა, მიუხედავად მთელი თავისი სიჩლუნგისა მა-ინც მონახა თავის თავში რეალურის გაგების ელემენტები, ჩაილაპარაკა რა იქ-ვე თავისთვის: „მაგრამ, მგონი, საქმე ესე ჩემზე არ არის დამოკიდებული“ (მხიარული სიცილის გრიალი, მქუხარე ტაში). მე არ ვიცი ეყოფათ თუ არა ჭკუა ვაუბატონებს გერმანელი ოფიციალზიდან მიხვდნენ, რომ ამა თუ იმ სა-ხელმწიფოს „დახურვა“ ქალაქზე მათ, რასაკვირველია, შეუძლიანთ, მაგრამ თუ სერიოზულად ვილაპარაკებთ „საქმე ესე მათზე არ არის დამოკიდებული“.. (მხიარული სიცილის გრიალი, მქუხარე ტაში).“

შედრინის სატირა მასებზე პრაქტიკული ზემოქმედებითი უნარით აღჭურვილი დიდი მხატვრული ლიტერატურული მოვლენაა რუსულ მწერლობაში. მისი სატირის ასეთი ძალა და მნიშვნელობა უნდა ვეძიოთ არა მარტო ავტორის პროგრესიულ სოფლმხედველობაში, რითაც არის განათებული მისი ყოველი ნაწარმოები, არამედ, აგრეთვე იმ დიდი დაკვირვებისა და მოვლენათა რეალისტური ხედვის, ტიპური ხასიათების შემკრები „გმირების“ შექმნისა და უკეთესის გრძნობის უნარით, რომლითაც აღჭურვილი იყო მწერალი.

ეს თვისებები დიდ რუს მწერალში ყველაზე უკეთესად დაინახეს მარქსიზმ-ლენინიზმის უდიდესმა კლასიკოსებმა — ლენინმა და სტალინმა და გვიჩვენეს ის. ლენინმა და სტალინმა შედრინის მაგალითზე გვიჩვენეს აგრეთვე ისიც, თუ როგორ უნდა იქნეს ათვისებული და გამოყენებული კლასიკური კულტურული მემკვიდრეობა მუშათა კლასის მიერ საუკეთესო საკაცობრიო იდეალის — კომუნისტური საზოგადოების შექმნისთვის ბრძოლაში.

შედრინი იყო ყოველგვარი ბოროტების შეურიგებელი მტერი და გულწრფელი მოტრფიალე სიკეთისა და უკეთესი მომავლის. ხალხის ცხოვრებისა და აზროვნების თავისუფლების სიყვარული აძლევდა ძალას შედრინის სატირას. სწორედ ამიტომ იყო, რომ მეხვის შთავრობა სისტემატურად და სასტიკად აღედგინა მას. შედრინს არ ასწავლიდნენ სკოლებში, რეაქციური კრიტიკა არ მთვლიდა მას ჭეშმარიტ მწერლად და ამით თავის სოციალურ დაკვეთას ღირსეულად ასრულებდა. „ოფიციალურ“ საზოგადოებრივობაში შედრინის სახელის გარშემო დუმილი იყო გამეფებული. მწერალი უყვარდა ხალხს და ის ცოცხლობდა მხოლოდ ხალხში, რომლის სასიცოცხლო ინტერესებისთვის სამსახურსაც მოახმარა მან თავისი უმწიკვლო ნიჭი.

გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქამ აღადგინა, დიდებითა და შარავანდედის ნათელით შემოსა დიდი მწერლის სახელი.

სვალნიური ეპოქის ახალგაზრდა ალამიანი

ი. კრიმოვის „ტანკერი-დერბენტი“

ინჟინერმა იური კრიმოვმა 1938 წელს შემოაღო რუსული ლიტერატურის კარი. ის შემოვიდა როგორც მოკრძალებით. „ტანკერი დერბენტი“ მისი სადებიუტო ნაწარმოებია.

ახალგაზრდა მწერლის პირმო მეტად ჯანსაღი და კუნთმავარი გამოდგა. ის შექებით მოხსენიეს ლიტერატურის ოსტატებმა, მკითხველმაც გულთბილად მიიღო. საბჭოთა მთავრობამ სულის სხვა ინჟინერებთან ერთად კრიმოვიც დააჯილდოვა შრომის წითელი დროშის ორდენით.

1

„ტანკერი დერბენტი“ პირველი მხატვრული ნაწარმოებია დაწერილი სტახანოვერ მოძრაობაზე, სტახანოვეური შრომის ადამიანებზე. არამართო თემა აყენებს „დერბენტს“ საბჭოთა ლიტერატურის მოწინავე მწკრივში. ახალგაზრდა ლიტერატორმა კრიმოვმა გამოუწაფავ, მაგრამ ძლიერი, ნებიანი ხმით გამოჰკვეთა სტახანოვერი ეპოქის ადამიანები, დასვა დიდი მნიშვნელობის პრობლემა და სითამამით, სიახლითა და სისწორით გადასჭრა იგი. ამ ნაწარმოების გული და აზრი — ეს არის მაღალი რწმენა ადამიანის ძლიერებაში, გონებაში, ნებისყოფაში, მისი პათოსი კი — არის სოციალისტური ოპტიმიზმი, მეტად ღრმად და ფარულად გაგებული, იშვიათი, ადამიანური სიმართლით ამეტყველებული.

არც თუ ისე ახალია ეს საკითხი — ოპტიმიზმი. სოციალისტური ოპტიმიზმი. ვინ მოსთვლის რამდენი ლექსი და მოთხრობა, რამდენი პოემა დაწერილა მის გარშემო, მაგრამ „ტანკერი დერბენტი“ მაინც გამოირჩევა ყველა მათგან. აი რატომ!

ზოგიერთს ვულგარულად და ცალმხრივად ესმის ოპტიმიზმის შინაარსი. ოპტიმიზტი ის კი არ არის, ვინც ყოველთვის იღრიკება და ღიმილი არ შორდება ბაგიდან. ვთქვათ ადამიანს მოუკვდა ვინმე მახლობელი, ან უღალატა სიყვარულმა, ან ამხანაგებმა გაჰკილეს ცუდი მუშაობისთვის, და მაინც არცერთი აჩრდი არ შერყეულა მის ფუქსაეატურ შუბლზე; დადის ჯიბეებში ხელებ-

ჩაყოფილი, ცხვირი მაღლა აუწევია და მხიარულად სტვენს სხვადასხვამაგვარ ტანგოს მოტივებს!

იდიოტური რამ არის არა? ცხოვრებაში თითქმის ვერ შეხვდები ასეთ მუ-ზეუმურ იშვიათობას და თუ შეეხეჩე სადმე, — კარგად დაბურტყე იგი და ხელში შეგერჩება პატარა კაცუნა, რომელიც ადამიანობას საბოლოოდ გამოსთხოვებია. ასეა ცხოვრებაში, მაგრამ ხელოვნებაში? ხელოვნებაში სულ უკანასკნელ დრომდე საუცხოოდ გრძნობდნენ თავს ოჩაფხებზე შემდგარი მხნე, დაუცხრომელი ოპტიმისტები და თავისი იდიოტური, მაგრამ მოცინარი უაზრო გამომეტყველებით აღიზიანებდნენ საბჭოთა მკითხველს ზოგნი სცენიდან, ზოგნი კიდევ სტრიქონებიდან. მხოლოდ „პრაფდის“ ომანიან გამოსვლის შემდეგ (ამხ. ნ. ვირტას სტატია) ისინი მიიმაღნენ და სოროებში შეიძვრნენ. მტკიცება არ უნდა, ფიზიოლოგიურ, იდიოტურ ოპტიმიზმს არაფერი აქვს საერთო საბჭოთა ადამიანის ოპტიმიზმთან. საბჭოთა ადამიანს ოპტიმიზმი დილივით კი არ აქვს მიკერებული ან ნილაბივით ჩამოფხატული სახეზე. მისი ოპტიმიზმი ორგანულია, სისხლსა და ძარღვში გამჯდარი, მისი ოპტიმიზმი ემოციადაა გადაქცეული.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა ადამიანისთვის უცხოა ტკივილი, ნაღველი, ზოგჯერ დამარცხების სიმწვავე. რომ არ იყოს საჭირო დაბრკოლების გადალახვა, ბრძოლა მასთან, მაშინ სიხარულიც ფერმკრთალი და მკვნარი იქნებოდა. სიხარულის, გამარჯვების გრძნობა განიზომება იმით, თუ რა დასძლიე. არ დამარცხე.

თუ დგებარ სწორ გზაზე და მაინც წამოიჩოქე, ნაძალადევი ღიმილი კი არ იქნება შენი ოპტიმიზმის მაჩვენებელი. ასეთ დროს სიმხიარულე ფარისევლობა ან სრული გულგრილობა იმ საქმისადმი, რომლისთვისაც თითქოს იბრძოდი.

ოპტიმისტი იქნები მაშინ, თუ შენში არ ჩაფერფლილა რწმენა ამ საქმის საბოლოო გამარჯვებისა, თუ დაქინებით იცავ შენ იდეას, ფიზიკურად არ შეგიძლია განშორდე მას, რადგან იცი: სწორი საქმე, კარგი იდეა სოციალისტურ საზოგადოებაში არ დაიკარგება, ხალხი ყოველთვის დაგიჭერს მხარს და თავისი მძლავრი მზრუნველი ხელით ფეხზე წამოგაყენებს.

2

რა ითქმის მექანიკოს ბასოვის („ტანკერ დერბენტის“ გმირი) ოპტიმიზმზე? ყველაზე მძიმე ტრავედია დაატყდა თავს ბასოვს. მას ზურგი შეაქცია კოლექტივმა, გარიყა და ჩამოიშორა, გამოაცხადა მეტიჩარად, ახირებულ ადამიანად მხოლოდ იმიტომ, რომ ბასოვმა მოინდომა რევოლუციის მოხდენა შრომის პროცესებში, ძველი ნორმების დამსხვრევა.

დაუცხრომელი ნოვატორი თითქოს კედელს შეეჯახა, მან გადაუსწრო თავის ამხანაგებს, მან გადასდგა დიდი ნაბიჯი წინ და როდესაც უკან მოიხედა, დაინახა მტრული ირონიითა და ზიზლით შეკრული სახეები. წუთით შეჩერდა და შეფიქრიანდა.

ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც ეკლებიან ღობესავით აღიმართნენ ბასოვის წინაშე?

აი იაკობ ნეიმანი, ინჟინერი ბრონიკოვი, გემთშემკეთებელი ბრიგადის წევრები. ამათში არ უნდა ერიოს მტერი! ყველას კარგად იცნობს ბასოვი. ისი-

ნი ხომ ბასოვის მეგობრები იყვნენ! ახლა კი რალაც ჩრდილმა გაიბნინა მათ შორის, დააშორა ისინი ერთმანეთს და ბარიკადის იქითაქეთ მხარეს გადაისროლა.

ბასოვს ვერ გაუგია — რაშია მისი დანაშაული.

განა ბასოვმა არ აიყვანა ტანკერ „ალამაღის“ მექანიკები საპროექტო სიმძლავრემდე? განა ბასოვი არ იბრძოდა შრომის ახალი მეთოდებისთვის, მოწყობილობის მაქსიმალური გამოყენებისთვის?

ნეიმანს და სხვებს არ მოეწონათ ეს სითამამე.

ბასოვი მოითხოვს მათგან რალაც ახალს, არაჩვეულებრივს, რამაც ყირაზე უნდა დააყენოს მთელი წარმოება. ბასოვი მოითხოვს დამკვიდრებული ტრადიციების და ნორმების გადასინჯვას, ტექნოლოგიურ პროცესის შეცვლას. ის მუდმივ რალაცას ეძებს, ქექვას, იგონებს.

ბასოვთან მუშაობას გაუბრბის ყველა, ვისაც არ უნდა ნერვების გატუჭება და სისხლის ამღვრევა, ვინც მიჩვეულა მშვიდ, ტკბილ ცხოვრებას და ყოველივე მოულოდნელი, ახალი, შიშს, გაღიზიანებას, უნდობლობას იწვევს მასში. ბასოვს სამსახროდაც კი იღებენ. ბასოვს გამოაქვს აქტივის კრებაზე ხარატ ერბატის წინადადება — დაზოგონ დრო, მეტი დატვირთვით ამუშაონ დაზგეჭი. ბრონიკოვი ბოროტი ირონიით შენიშნავს: მექანიკოსი ბასოვი მოითხოვს წუთების დაზოგვას, შემდეგ კი კვირები დაგვეკარგება მათ რემონტზე. ვილაც ისვრის შხამიან რეპლიკეს: პრემიის წაგლეჯა მოინდომეს, არა! დასცხე, მზგათ ბრონიკოვ!

არავინ დაუჭირა მხარი ბასოვს. ის მარტოდმარტო დარჩა.

კოლმაც ვერაფერი გაუგო ბასოვს. მუნია ბელეცკაია გონებაშეზღუდული ადამიანია. მას შემუშავებული აქვს გულუბრყვილო-რომანტიული მწიგნობრული სქემა, ერთგვარი ეტალონი „გმირისა“. მისი იდეალია მძლავრი, ნებისყოფიანი ადამიანი, გამარჯვებული, ამჟამად კიხერმოღერებული, ყველას მიერ პატივდამდებული, ბასოვი ვერ თავსდება ამ ჩარჩოში. ის ამჟამად დამარცხებულია, გატეხილი, ყველასგან ყბადღებული. ბელეცკაია არ ეძებს იმის მიზეზს — ვინაა ცხარე შეტაკებაში მართალი. ბასოვი თუ ნეიმანი? მას ქეშმარიტებად მიაჩნია თვით ფაქტი, ის კონკრეტული რეალობა, რომელიც შეიქმნა ბასოვის გარშემო. ცრემლითა და საყვედურებით აღსავსე სიტყვებით მიმართავს იგი ბასოვს: შენ აიმხედრე კოლექტივი, შენ უიღბლო, სუსტი ადამიანი ხარ!

არ შეიძლება ბელეცკაიას გაიგივება ნეიმანთან. ბელეცკაიას უყვარს ბასოვი. მისი ცრემლები, მისი საყვედურები, მისი მუდარა სიყვარულითაა გამოწვეული. ეცოდება ბასოვი. ეცოდება არა როგორც დიდი და ღონიერი ადამიანი, დროებით დაჯაბნული პატარა ადამიანების მიერ. ეცოდება როგორც ულონო, ახირებული, უიღბლო „ჩუდაკი“.

ვის მიმართოს ბასოვმა?

ძნელი იყო იმ აზრთან შერიგება, რომ ამ დიდ ქალაქში აღარავინ დარჩა მახლობელი და გულის თანამოზიარე, ყველანი მიმოიფანტნენ და ხელშუა გაჰქრნენ.

პირქუშბ, მოშვებული და მოთენთილი გადაჰყურებდა ბასოვი წყლისპირის შოაჯირს. თვალწინ გადაიბრუნს მისი ახალგაზრდული ცხოვრება. ბასოვს სურს

შეაჩეროს ფიქრები, მოგონებათა ნაწყვეტები, კარგად შეხედოს, გადმოქექოს. იქნებ იქ იპოვოს უბედობის მიზეზი! წარსული ასე ნათელი და უღრუბლო იყო.

მაშ სად არის დამარცხების საბავე? ბასოვი პოულობს დამნაშავეს. ეს თვით ბასოვია და მას სულის სიღრმიდან აღმოხდება სისხლთან შეზავებული სიტყვები «*Поломалась жизнь, — Неудачная жизнь. Неудачник!*»

საოცარია არა? ახალგაზრდა ჯანღონით სავსე ადამიანი, კომუნისტი და ასეთი სასოწარკვეთილება! თუ აქამდის მწერლის სიყვარული ბასოვის მხარეზე იყო, ახლა იგი თითქო ჰქრება და ვანკიცხვაში გადადის. მკითხველს უნებლიედ მოაგონდება ბელეცკაიას სიტყვები ბასოვზე, ის გადააფასებს ბასოვის ბრძოლას ნეიმანთან, ახალი შუქი დაეცემა ბასოვის პიროვნებას. მაგრამ ასე ნაადრევად ნუ შევიძულებთ მას, ნურც მისი სიტყვები შეგვაშინებს. ეს სიტყვები ორგანიულია, მოქსოვილი ადამიანური ტკივილისაგან. ბასოვს რომ დაეწყოს ბაქობა, გულგრილად შეხვედროდა საზოგადოებრივ და პირად დამარცხებას, დარჩენილიყო ძველებურად მხნე და მხიარული, მაშინ ჩვენ ეჭვიც შეგვეპარებოდა: აქვს თუ არა გული, ნერვები ბასოვს, თუ ის უსულგულო რობოტია! ჩვენ ოდნავადაც არ აგვალეღვენდა ბასოვის ბედი, თვით ბასოვი, არ გავგახარებდა მისი გამარჯვება, არ დაგვალღონებდა მისი დამარცხება. ორგანიული, მთლიანი ადამიანური ხასიათი არ შეიქმნება იმით, თუ ყოველ დროს, ყოველ გარემოებაში პერსონაჟი იმეორებს ერთდაიგივე ფრაზებს. ამა თუ იმ გარემოებაში უნდა წარმოიშვას ისეთი სიტყვა, ისეთი განწყობილება, რომელიც დაგვარწმუნებს: მხოლოდ ასე უნდა ეთქვა „გმირს“, მხოლოდ ასე უნდა ეფიქრა. რატომ არ შეეძლო სხვანაირად ეთქვა ბასოვს?

ბასოვი დასტოვებს ძველმა მეგობრებმა, მას ჯერ კიდევ ვერ უგრძნვია რეალური დახმარება იმ ახალი მეგობრებისა, რომელნიც იდუურად ენათესავენ ბიან მას. ძნელი იყო მისი მდგომარეობა. სიცილს და ტლინკაობას ხომ არ დაიწყებდა ასეთ დროს! მიუხედავად სიმარტოვისა, მიუხედავად „საშინელი“ სიტყვებისა, ბასოვი ოპტიმისტად რჩება.

მისი ოპტიმიზმი სხვა ხასიათისაა.

ხელი შევიშალონ, ჩამოვიშორონ, შენც შეეჭდე საკუთარ სიმართლეში და მაინც გწამდეს შენი იდეის საბოლოო გამარჯვება, არ შეგეძლოს განშორდე მას, როგორც საკუთარ პიროვნებას, ჰფიქრობდე მასზე, სკოცხლობდე იმით.

ეს არის ნამდვილი ოპტიმიზმი, უაფექტაციო ოპტიმიზმი საბჭოთა ადამიანისა.

3

ბასოვი ჩამოიშორეს ქარხნიდან, ეს ახლა ტანკერ „დერბენტზეა“ მთავარ შექანიკოსად. „დერბენტი“ ყველაზე ჩამორჩენილი გემია კასპიის სანაოსნოში. გემის კომანდა „სბროდისაგან“ შესდგება.

აქ არის ლოთობისთვის კომკავშირიდან გამორიცხული ჰუსეინი და სხვა არანაკლებ „ლაზათიანი“ წარსულის მქონე მეზღვაურები. ყველაფერი ადამიანური თითქოს ჩამკვდარა და ჩაფერფლილია გემის კომანდაში. მეზღვაურები მუშაობენ ზანტად, უნიათოდ, ცხოვრება კი არა, ჭაობია, ცხოვრება კი არა, არსებობაა. კომანდის გახრწნასა და დაძაბუნებას ხელს უწყობს ისიც, რომ გემის ხელმძღვანელობა მტრული ელემენტების ხელშია. გემის კაპიტანი კუტა-

სოვი, ანტისაბჭოთა წარსულის მქონეა, ლაჩარი, უხასიათო, დოცლაპია, მხვრად-ქცეული ადამიანისებური პროტოპლანმა. კაპიტანის პირველი თანაშემწე კასაცი — ესეც კონტრრევოლუციონერია, აქტიური მანებელი და მტერი საბჭოთა ხელისუფლებისა. გემზე არიან კომკავშირელები. სულ ხუთიოდე. კომკავშირელები განზე დგანან. მათ შეუქმნიათ სექტანტური ჯგუფი და თავიანთი ნაჭუჭის იქით აღარ უნდათ გახედვა. ასეთი „ვაჟაკების“ თაივულში მოხვდა ჩვენი ბასოვი.

ბასოვი პირველადვე არ ეჭაწნიკათ მეზღვაურებს, განსაკუთრებით კი მისი გარეგნობა, — დადის მუდამ მოღუშული, თვალეზ-დაწითლებული, სახის ისეთი გამოხატულება აქვს, თითქოს კბილი სტკიოდეს.

— კიდევ ერთი აჯამი შეემატა კომანდას, — ფიქრობს ბევრი მათგანი.

აქ იური კრიმოვი იშველიებს ეშმაკურ ხერხებს. მკითხველი ხომ კარგად იცნობს ბასოვს, იცის მისი ბიოგრაფია, მისი ღირსება და მას ეინტერესება, რა ფაქტში, რა მდგომარეობაში გამოქვლიანდება ნამდვილი ბასოვი.

რითი იწყებს ბასოვი?

ბასოვი მოკლებულია მჭერმეტყველობის ნიჭს, მას არ შეუძლია ქადაგი, ცეცხლოვანი სიტყვების ტრიალი. ორატორული ნიჭითაც რომ იყოს დაჯილდოვებული ბასოვი, ის მაინც არ წამოიწყებდა დეკლარაციებით. ბასოვი ჭკვიანი, ჩაფიქრებული კომუნისტია, მას კარგად ესმის, თუ რა ხალხთანაც აქვს საქმე. ამასთან ვერაფერს გააწყობ ფრაზებით; დაგცინებენ, ყბედად და ფანფარონათ გამოგაცხადებენ. ეს კი იმას ნიშნავს, დაჰკარგო გავლენა ამ ადამიანებზე, დემორჩილო მათ ნებისყოფას, გაითქვიფო მათში.

ბასოვი წამკითხავი თვალეზით აკვირდება მეზღვაურებს. ის ელოდება იმ მომენტს, როდესაც გემის კომანდაში იფეთქებს უკმაყოფილების ან სირცხვილის გრძნობა, თუნდაც გრძნობის ნასახი, რომ ჩასქიდოს მას ხელი, გააღრმავოს იგი, ნაპერწკლიდან ცეცხლი დაანთოს.

ასეთი მომენტი დგება კიდევ.

ტანკერ „დერბენტს“ „შინაგანი წვის კუს“ ეძახიან. ის გაკილვის ობიექტადაა გადაქცეული. მოწინავე ტანკერ „ალამალის“ მეზღვაურები ზვიდად და ქედმაღლურად დასცქერიან დერბენტელებს. „ალამალის“ ორი საათით გვიან გამოვიდა და ნავთსადგურიდან და რამდენიმე ხნის შემდეგ მოეწია „დერბენტს“.

„დერბენტის“ ბაქანზე შეიკრიბა მთელი კომანდა. დერბენტელებმა მისალმების ნიშნად აღმართეს ალამი. „ალამალის“ მისალმებაზე არ უპასუხნია. ტანკერის ქიმიდან ბაწარი ჩამოუშვეს. მეზღვაურების ენაზე ეს ნიშნავდა ბუქსირზე აყვანას.

ასეთმა უცერემონიო დამცირებამ და გაქირდვამ შეანგრია გულგრილობის კედელი. გაურკვეველი და ჯერ კიდევ ბურუსით მოცული გრძნობების კორიანტელი ტრიალებს დერბენტელების გულში. წყენა, მწვავე სირცხვილი, გაღიზიანება არეულია ერთიმეორეში: არ შეიძლება იმის წინასწარმეტყველება თუ საით წავა და რა კონკრეტულ ფორმას მიიღებს ეს გაღიზიანება. მთავარი ის არის, რომ რაღაც ფსიქოლოგიური გარდატეხა მოხდა. ბასოვსაც ეს უნდოდა. აუჩქარებლად და დინჯად ჩაერევა იგი გაცხარების კამათში და დარწმუნებით ამბობს: «Мы можем утратить им нос. Пускай

они сейчас на первом месте, а нас ругает каждая собака в нефтегаз-
вани. Мы все-таки можем забить их».

საოცრად გაისმა ბასოვის სიტყვები.

იქნებ ტრაბახობს ბასოვი და გულს იფხანს სიტყვებით? მაგრამ არა.
ის პირველად ამბობს ასეთ რამეს და მერე როგორ უბრალოდ და დამაჯერებ-
ლად..

ბასოვს ესმოდა: თუ ის არ დააყენებდა კონკრეტულ ხელშესახებ ამოცანას
ტანკერის კომანდის წინაშე, იქნებ ჩამქრალიყო ეს გრძნობა მწვავე სირცხვი-
ლისა და უკმაყოფილებისა; სანამ ღვიოდა იგი, საჭირო იყო მისთვის გზისა და
მიმართულების მიცემა, მის გადაქცევა დადებით ენერჯიად.

ბასოვმა დაიწყო მექანიზმების რეგულირებიდან.

მთელი კომანდა შეიკრიბა სამანქანო განყოფილებაში. აღარავის სურდა
დარჩენილიყო გარეშე მაცურებლად. ანტიერესებდათ რა გამოვა ბასოვის გან-
ზრახვიდან. შესაძლებელია თუ არა მოტორების ბრუნვის გადიდება? თუ გა-
იმარჯვებდა ბასოვი, მაშინ ყველა მორალურად კმაყოფილი დარჩებოდა იმით,
რომ მასაც უღვეს წილი ამ გამარჯვებაში. ბასოვს დაუჯერეს და თუ იგი და-
მარცხდება, მაშინ საქმე საბოლოოდ წაგებულა.

ბასოვი გამოცდილი მექანიკოსია. თავისი ცოდნა და მოხერხება ჩააქსოვა
ბასოვმა დიზელების რეგულირებაში. დიზელებმა უცებ გააკეთეს ნერვიული
ნახტომი და მოტორების ბრუნვა ას თორმეტამდე ავიდა. ეს იყო დიდი სიხა-
რული.

ბასოვი სათავეში ჩაუდგება კომანდას. ის დარაზმავს იდენის გარშემო ადამიან-
ებს. გაუღვიძებს მათ საკუთარი ძალის რწმენას, დაიჯერებს მათ გმირობას,
მათ სულის ღონეს, მისცემს გამოსავალს დაგროვებულ ბოლმას, უკმაყოფილე-
ბას, გაღიზიანებას. პირველმა მიღწევამ ფრთები შეასხა დერბენტელებს, ტან-
კერზე ამუშავდა კოლექტიური აზრი და ნებისყოფა. საერთო შრომის ფერ-
ხულში ჩაება ყველა ისიც კი, ვინც უნდობლობით და დაცინვით შეხვდა ბა-
სოვის სიტყვებს. სოციალისტურმა შრომამ გააკეთილშობილა და შინაგანად გას-
წმინდა ადამიანები, შეამჭიდროვა ისინი ერთ მეგობრულ ოჯახში. აამაღლა ამ
ადამიანების ღირსება და სახელი. მზეზე გამოიტანა მათი მშვენიერი, აქამდე
ღრმადღამარხული თვისებები. როდესაც გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა ალექ-
სი სტახანოვის რეკორდის შესახებ, დერბენტელები პირველი სტახანოველები
გახდნენ. ყველაზე მძიმე მომენტში დერბენტელებმა გვიჩვენეს უმაღლესი გმი-
რობა და თავდადება. როდესაც თბომავალ „უზბეკისტანზე“ ხანძარი გაჩნდა,
დერბენტელები, მავნებელ კასაცკის სურვილს წინააღმდეგ, გაემგზავრნენ
მათ დასახმარებლად. დერბენტელების სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ცეცხლი შე-
იძლება მოსდებიყო დერბენტსაც. თავგანწირვას მოითხოვდა გავარვარებულ
ვულკანიდან ადამიანების გამოყვანა, ცალკე ზღვა გაბრაზებით და მოუსვენა-
რი ჩანთქმით ემუქრებოდა ვაჟკაცებს.

საბჭოთა ადამიანმა ყველა დაბრკოლება გადალახა და პირქვე დაამხო,
ჩვენ წინ გაიარა ადამიანთა სოციალისტური აღორძინების საოცარმა და უბრა-
ლო ისტორიამ და ამ ისტორიის სული იყო ბოლშევიკი ბასოვი, თამამი ნოვა-
ტორი, დაუცხრომელი მძიებელი და ორგანიზატორი, ლენინ-სტალინის პარ-
ტიის ერთგული შვილი, ადამიანი, რომლისთვისაც გმირობა და თავგანწირვა
ნორმალურ მდგომარეობად იქცა. აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ასე ჰქვია მოთხრობის ბოლო ნაწილს. სათაურის აზრი იმაშია, რომ მუსია ბელეცკაია ურიგდება ბასოვს და ავტორს ეს შერიგება აუცილებლობად მიაჩნია. რუსი კრიტიკოსების ერთმა ჯგუფმა ამის გამო უსაყვედურა კრიმოვს: არავითარი აუცილებლობა აქ არ არის და საერთოდ შერიგების სცენა სრულიად ზედმეტია და ხელოვნურიაო.

აუცილებლობა! — მე ვეთანხმები ავტორს, კარგად მონახული გამოთქმაა. ცხოვრებაში ასე მოხდებოდა და კარგია, რომ ლიტერატურაშიც ასეა. ახლა ორიოდ სიტყვა ბრედისზე.

ბრედისი კაპიტნის მოადგილეა პოლიტიკურ ნაწილში, ყველაზე მკრთალი და უსიცოცხლო, უფიგურო „ფიგურა“. ის საილუსტრაცია სახეა. კრიმომბა დააკისრა მას განსაზღვრული ფუნქცია: ადგილ-ადგილ ბრედისი წარმოასთქვამს კომუნისტურ სენტენციებს. ეს არის და ეს. ადამიანური სიცოცხლე არ აჩუქა მას კრიმომბა. ბრედისი გაკეთებულია ფრაზებისაგან, ცოცხლობს ფრაზებში, აზრონებს ფრაზებით. ის აბსტრაქტული, უსხეულო კატეგორიაა, წარმოდგენა ადამიანზე და არა თვით ადამიანი. ბრედისი, არ ანვითარებს მოვლენების მსვლელობას, არც ანელებს, არც აკლებს, არც თუ უმატებს რასმეს, მას არ გააჩნია დასაჯდომი ადგილი მოთხრობაში, გამოჩნდება, იტყვის რამდენიმე სიტყვას და რეგლამენტის გათავების შემდეგ კვლავ ჰქრება. მას აკლია ის, რაც ჰქმნის მხატვრულ სახეს — სიცოცხლე.

ასეთია ახალგაზრდა ბელეტრისტის ი. კრიმოვის პირველი რომანი „ტანკერი დერბენტი“.

შოლომ ალექსიანი

დაბადებიდან 80 წლის შესრულების ბამო.

ებრაული ლიტერატურის კლასიკოსი, მეცხრამეტი საუკუნის დიდი მწერალი შოლომ ალექსიანი (რაბინოვიჩი) დაიბადა 1859 წლის 2 მარტს (ძველი სტილით) უკრაინაში ქალაქ პერეასლავლის მახლობლად.

შოლომ ალექსიანის პირადი ცხოვრება, თავისებური და მრავალფეროვანია. წარსული საუკუნის 80-იან წლებში მან შემთხვევით მიიღო მდიდარი მემკვიდრეობა და კიევში გადავიდა. იქ დაიწყო კომერციული ოპერაციების წარმოება, მაგრამ სათაკილოდ მიიჩნია ეს და მალე ანება თავი შეურაცმყოფელსა და დამამცირებელ საქმიანობას.

თავისი სიმდიდრის მოკლე პერიოდში, შოლომ ალექსიანმა მოასწრო ფრიდა საყურადღებო „ებრაელი ხალხის ბიბლიოთეკის“ ორი ტომის გამოცემა, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითმავს ებრაული ლიტერატურის განვითარებაში.

შოლომ ალექსიანი ბავშვობიდანვე გაიტაცა მხატვრულმა ლიტერატურამ. ლიტერატურისადმი უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალულმა პირველად 80-იან წლებში დაიწყო წერა ებრაულ ენაზე.

შოლომ ალექსიანი პირველად სწერს კრიტიკულ წერილებს. ამ წერილებში მკაცრად ილაშქრებდა ბულვარული ლიტერატურის წინააღმდეგ.

შოლომ ალექსიანი მოითხოვს ებრაელთა ცხოვრების რეალისტურად აღწერას, სინამდვილის, მხატვრულ სახეებში გამოხატვას. მომხრეა ისეთი ლიტერატურის, რომელიც იბრძვის ხალხის კეთილდღეობის დაინტერესებისთვის. ამის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს, მისი პირველი მხატვრული ნაწარმოები „სენდერ ბლანკი — რომანი სიყვარულის გარეშე“. ეს ნაწარმოები რეალისტური რომანის დასაწყისია ებრაულ ლიტერატურაში.

შოლომ ალექსიანს სახალხო მწერლის დიდება და სახელი მოუპოვეს მისმა იუმორისტულმა ნოველებმა და მოთხრობებმა.

მის კალამს ეკუთვნის: „მიმოწერა მენახემ მენდელსა და მის ცოლს შორის“, „პატარა ხალხი“, „მერძევე თევზე“, „ბავშვი მოთლი“ და სხვა მრავალი.

შოლომ ალექსიანი დიდის ყურადღებითა და სიმპატიით ეპყრობა ბავშვებს თავის ნაწერებში. მოწიწებით ასახავს მათ განცდებს, მწუხარებასა და სიხარულს, სიმწარესა და სიტკბობას, მათი პატარა სულის სიდუხჭირესა და ავანჩაევანს.

მართლაც და ვის შეუძლია გულის აუჩუყებლად წაიკითხოს მოთხრობა „ბავშვი მოთლი“, სადაც ჯერ კიდევ ცხრა წლის მოთლი, სრულის გულწრფელობით, უაღრესი გულუბრყვილობით, უდიდესი შინაგანი განცდებითა და

გრძნობებით, მოგვითხრობს ლირიზმით აღსავსე თავგადასავალს, მშობლების უმწეო მდგომარეობას.

ამ ნაწარმოებში მწერალი ნათლად გვიხატავს, ებრაელი ხალხის სიღატაკეს, უუფლებობას, მათ საცოდავ ცხოვრებას, მათ ობლობას და უპატრონობას. ამ პატარა, მაგრამ უაღრესად მგრძნობიარე ბავშვის პირით გველაპარაკება თვით ავტორი ებრაელი ხალხის სიმწარესა და სიღუპეში.

შოლომ ალექსემის უკვდავ ნაწერებში რელიეფურად გამოხატულმა პოეტურმა სახეებმა ათასეული ადამიანების ყოფაცხოვრება გაამდიდრა და გააცისკროვნა.

შოლომ ალექსემის ნაწერებში, შედეგს წარმოადგენს „მიმოწერა მენახემ მენდლისა და მის ცოლს შორის“, ან როგორც სამართლიანად უწოდებენ „ჰაერის ადამიანი“. ამ ნაწარმოების მთავარი გმირია მენახემ მენდლი. კაცი, რომელიც ებრაელებით დასახლებული პატარა დაბიდან, სადაც კარჩაკეტილი ცხოვრება მიმდინარეობდა, უცბად მოექცა კაპიტალისტურ მსოფლიოში. ეს მოცულობის საბრალო არსება დღენიდავ იმაზე ფიქრობს, როგორმე შეეგუოს ახალ ყოფას, ახალ ურთიერთობას. მაგრამ მისი მდგომარეობა ერთის მხრივ სასაცილოა, თანაც შესაბრალო, ხოლო მეორეს მხრივ სავალალო და ტრაგიკული. მანახემ მენდლს არავითარი ჩვევა არ გააჩნია შრომისა, ის მხოლოდ მეოცნებეა. ზედიზედ ადგენს ფანტასტიურ გეგმებს. ერთი პროფესიიდან მეორეზე გადადის. ეწევა სპეკულაციას, მაჭანკლობას. ხან მაკლერია, ზოგჯერ ამიერკავკასიის ნავთზე ფიქრით გატაცებული, ხან შაქრის ჭარხალზე მეოცნებე. ზოგჯერ შაქრის გამყიდველად წარმოიდგენს თავს. ხან კიდევ სახლების, ტყეების, ფაბრიკა-ქარხნების, რკინისგზების მაკლერია. მაგრამ დახეთ „ბედის“ დაცინვას. როდესაც ჰგონია, რომ ბედს ვეწიეო; სწორედ მაშინ უმუხთლებს ბედი. სწორედ მაშინ მარცხდება. და ამდენი ხნის შეკოწიწებული გეგმები ეფუშება, წარსული წლის თოვლსავით უჭრება.

მანახემ მენდლი, ფუძემოუპყვიდრებელი არსებაა; ტიპური „ჰაერის ადამიანი“. მანახემ მენდლის კომიკური სახე, ხშირად ტრაგიკულში გადადის. მართალია ის ებრაელია, მაგრამ მისი სახე სცილდება ნაციონალურ ფარგლებს. შოლომ ალექსემმა, ამ ტიპში განასხეულა საზოგადოებრივი ტრაგიზმი წვრილბურჟუაზიული მასებისა, რომლებიც გულმოდგინედ ცდილობენ, საკუთარი ადგილი იშოვნონ კაპიტალისტურ სამყაროში, მაგრამ ფრიად უნდო და გულცივია კაპიტალიზმი. კაპიტალიზმის ვეებერთელა მანქანა, კიდევ უფრო ანამცეცებს მათ.

შოლომ ალექსემმა მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დასწერა რომანების მთელი რიგი: „წარღვნა“, რომელიც შეესება 1905 წ. რევოლუციას, „მოხეტიალე ვარსკვლავები“, რომელიც ასახავს ებრაული თეატრის ისტორიას მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს და მეოცე საუკუნის დასაწყისში, „სისხლიანი ხუმრობა“ ბეილისის პროცესის შესახებ დაწერილი და სხვა.

შოლომ ალექსემმა, როგორც რეალისტმა მწერალმა, თავის ნაწერებში დახატა ებრაელი ხალხის სივალახე, უუფლებობა, სიღატაკე, ორმაგი ჩაგვრა, რომელსაც ებრაელები განიცდიდნენ, პირსისხლიანი ჯალათი მეფისა და მუქთახორა კაპიტალისტებისგან.

ცარიზმის სისასტიკით განაწამები, საარსებო ლუკმა პურისთვის ყოველდღიური ბრძოლით დაღლილი, უუფლებო, მშიერმწყურვალი, მუდამ სიღა-

ტაკესა და გაჭირვებაში მყოფი ებრაელი ხალხი, შოლომ ალეიხემის შემოქმედებაში ხედავდა თავის ცხოვრებას. სწორედ ამიტომ უყვარს ხალხს თავისი მწერალი.

შოლომ ალეიხემის მწველმა სტრიქონებმა, მშრომელ ებრაელთა ფართო მასებში განამტკიცა სიმზნევე, კაეისებური ნებისყოფა. შთანერგა მათში იმედი და ნუგეში უკეთესი მომავლისადმი, რომელიც მათ მოუტანს სიხარულს, უდიდეს სიამეს და ბედნიერ ცხოვრებას.

შოლომ ალეიხემი, იქცა რა თავისი ხალხის იმედისა და ნუგეშის გამონატველად, სტკიოდა რა ხალხის სატკივარი და მათთან ერთად იტანჯებოდა, ძირფესვიანად დაკავშირებული იყო ამ ხალხთან, ხალხიც მას აფასებდა. და სწორედ ამიტომ შეიქმნა ის სახალხო მწერლებს შორის რჩეული და მარად სახსოვარი. თვით ფსევდონიმი მწერლისა „შოლომ ალეიხემი“ ძველ ებრაულ ენაზე გამარჯვებას ნიშნავს, რომლითაც შეხვედრის დროს ერთიმეორეს მიმართავდნენ ებრაელები.

შოლომ ალეიხემის ნაწარმოებთა უკვდავი ტიპები, სცენაზე ამეტყველებული, ბევრჯერ ინახულა ზალხმა. სახელმწიფო ებრაული თეატრი, საბჭოთა სინამდვილეში გაზრდილი და დავაუკაცებული, რომელმაც თავისი არსებობის 20 წლის მანძილზე მართებულად დაიკავა საპატიო ადგილი მრავალ ნაციონალურ საბჭოთა თეატრების ოჯახში, ხშირად მიმართავს ამ დიდი მწერლის ნაწერებს. პირველი სპექტაკლი გაკეთებულია შოლომ ალეიხემის ოთხი ნოველის „ავენტები“, „სიცრუე“, „მაზალტობ“ და „გეტის“ გასცენიურებით. ამავე თეატრმა დადგა შოლომ ალეიხემის „200,000“ და „ჰაერის ადამიანი“.

სახელმწიფო ებრაულმა თეატრმა 1939 წ. მარტის 31, თავისი არსებობის 20 წლის თავზე, საიუბილეოდ აირჩია შოლომ ალეიხემის „მერძევე თევები“.

შოლომ ალეიხემმა განიცადა რევოლუციამდელი მძიმე ცხოვრების სიღატაკე და სიმწარე, რაც გამოწვეული იყო გამომცემლობათა და გაზეთების გონებაჩლუნგი რედაქტოროთა თვითნებობით. ამ დიდ ტალანტს უსდებოდა, მწერლისა და შემოქმედების შეურაცყოფელი და დამამცირებელი ძუნძული ლუკმა პურისთვის, რითაც ფლანგავდა შემოქმედების ძალას და ენერგიას. ამას ზედ დაერთო ფიზიკური ტანჯვაწამება. იგი დაჭლეჭდა და თანდათან წაერთვა სასიცოცხლო ძალი და ღონე.

ოქტომბრის ძღვევამოსილმა რევოლუციის სიკაშკაშემ დალეწა მონობის ზღუდენი. ჩაგრული ხალხი გაანთავისუფლა როგორც მეფის, ისე ექსპლოატატოროთა კლანჭებისაგან. საბჭოთა ხალხები მტკიცედ შეაკავშირა ერთი მეორესთან, რომლებიც საერთო ძალღონით აშენებენ სოციალიზმს, ქმნიან ბედნიერსა და სამუდამ ცხოვრებას.

საბჭოთა მიწა-წყალზე გაჰქრა „ჰაერის ადამიანები“. დღეს ყველას აქვს შრომის, განათლების, დასვენების უფლება.

პარტიამ და ხელისუფლებამ უდიდესი ყურადღება მიაქცია ებრაული ლიტერატურის უდიდეს კლასიკოსს, რომლის იუბილე, დიდის ზეიმიდ იდღესასწაულის ჩვენს ქვეყნის ყოველ კუთხეში.

პრიგოლ ორბელიანის ორი დაუბეჭდავი პროზაული ესკიზი

ოთხმოც წელს მიახლოებული გრიგოლ ორბელიანი 1879 წლის 24 აგვისტოს თარიღით სამეგრელოს დედოფალ ეკატერინესთან გაგზავნილ ერთ თავის ბარათში იგონებდა რა ქართველ გრაციათა საზოგადოებას, რომელსაც ეკუთვნოდნენ: ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები, მანანა ორბელიანი, სოფიო ორბელიანი, მარიამ ორბელიანი, მართა სოლოღაშვილი, მაიკო ორბელიანი, ელენე ერისთავი, ჟოზეფინა ოპერმანი და სხვანი, სინანულით სწერდა:

„მაგონდება თქვენი ბრწყინვალე ყმაწვილქალობა და მასვე დროს სხვანიცა მრავალნი, დახატულნი სილამაზითა, მიმზიდველნი მაღალ ზრდილობით, გონებით, გულის სიწმინდით. მართლაც მეტად კარგი დრო იყო, სავსე მხიარულებით, უზრუნველობით, და ამასთანა საითაც შეჰხედავდით, უთუოდ იყო ვინმე მშვენიერი და ამის გამო ხშირად ვამბობდით ძველებურს სავათნავას ლექსს: „ნეტა რომელს ვენაცვალო, განა რამდენი თავი მაქვს“. ხშირად მაგონდება ის დრო, თქვენი დრო, მეტად ლამაზი დრო. ღმერთმან ვიშველოსთ, მეტად კარგები იყავით, და ესლაც ჩემი თავი მით მიმანია ბედნიერად, მეცა თქვენს საზოგადოებაში ვიქცეოდი და მას ვეკუთვნოდი.“¹⁾

ლამაზმანთა ამ წყებიდან გრიგოლ ორბელიანი სხვადასხვა დროს გატაცებული იყო სოფიო ორბელიანით, მანანა ორბელიანითა და ჟოზეფინა ოპერმანით, მაგრამ გულწრფელი ტარიელის სადარ სიყვარულითა და ცხოვრების ფითქმის მთელ მანძილზე ეტრფოდა პოეტი ნინო ჭავჭავაძეს.

ნინო ალექსანდრეს ასულისადმი სიყვარულს პოეტი უდიდესი საიდუმლოებით ინახავდა. ამით არის გამოწვეული, რომ ჭავჭავაძის ქალისადმი მიმართული თხზულებანი გრ. ორბელიანს დაშიფრულად აქვს დასათაურებულნი. ალსანიშნავია ისიც, რომ ტრფობის მამხილებელ ნაწერთა გაგზავნას შეყვარებულისადმი პოეტი გაურბოდა და ყველა ეს თხზულებანი ადრესატისადმი გაუგზავნილი რჩებოდნენ გრიგოლ ორბელიანის პირველადს არქივში.

ნაწერთა ამ ჯგუფს ეკუთვნის პოეტის ორი მხატვრული ეპისტოლარული ესკიზი მიძღვნილი ნინო ალექსანდრეს ასულ ჭავჭავაძისადმი, რომელიც ხელთნაწერის სახით დაცულია საქარ. ცენტრალურ საარქ. სამმართვე. 1832 წლის ამბოხების მასალების მე-21 ტომში.

აი ისინი:

1. ნ[ინოსადმი]

მე ვიყავ თავისუფალ დროსა სიჭაბუკისას; მაშასადამე ვიყავ ბედნიერიცა, ვინაიდან აწმყოთა დამატებობდა და მომავალიცა აღმოთქვამდა უმეტეს ბედნიერებას — გარნა ახ! ყო-

1) საქ. ცენტრ. საარქ. სამმართვე. საგან. მნიშ. საქმეთა ფონდი, საქმე № 175, ფურც. 25.

ველივე ეს იმდენი თვით თავისუფლებაცა გააპქრენ ვულისა ჩემისთვის, ესრეთ მძსწრაფ-
ლიად, ვითარცა საამურისა სიხმარისა ოცნებანი.

ბაგეთა ჩემთა დაივიწყეს ღიმი, და სიამოვნებანიცა არღა მყოფობენ დამკნარსა ჩემისა
გულისათვის, რომელიცა მოცულ არს მწუხარებისა ღრუბლითა. შექცევათა და ღზინითა შინა
ვერღა მიპოვნეს შევბანი; ყოველგან თავსა ჩემსა ვხედავ მარტო დაშთენილსა. ზოგჯერ
ვძსვირნობ წალკოტსა შინა, და მუნცა მშვენიერნი ყვაილინი ჰსკნებთან მკმუნვარეთა ფიქრ-
თაგან ჩემთა.

უწყოდ მეგობარო ჩემო! რომელ მიზეზი უსეთისა ჩემისა უბედურებისა არს სიყვა-
რული, რომელიცა უმეტეს ეგზნების, რაოდენცა მირბიან დრონი. რვამან წელიწადმან ვერ
შეამსუბუქა ტანჯვანი ჩემნი და ოხრვითცა ესოდენსა დროსა ვიმაღე გულსა შინა ჩემსა.

არც უკვე რვა წელიწადი, რა გონება ჩემი ებრძვის გულსა, რომელსაც ვჰხედავ დასას-
რულ მძლეველად. აქ შეჰსწყდა ყოველ მოთმინება ჩემი — ახ! საყვარელო მეგობარო! რჩე-
ვათა ესრეთსა ჩემსა მდგომარეობასა ძალ გედუათ მოცემად ჩემთა რომლისამე ნუგეშისა,
გარნა შენცა ხარ ჩემგან განშორებულ, და ვარ ესრეთ დაშთენილ შესაჰმელად მწუხარე-
ბათათვის.

მშვიდობით მეგობარო ჩემო! ვხედავ უფსკრულსა წინაშე ჩემსა და არ ძალმიძს მო-
რიდებად. ახ! ნეტარ წერილსა შენსა ძალედვას მოცემად ჩემდა წარსულსა ბედნიერების,
და განმჭრალისა ჩემისა თავისუფლებისა უკუმოქცევად. მშვიდობით.

შილდა 1824 წელს.

2. ნ[ინო], ე[კატერინე], მ[ანანა],

გახსოვთა დღე იგი, ოდესცა მე გულითა მწუხარებისაგან შევიწროვებულითა მოვედ
რა თქვენდა ნ[ინო], გამოსასალმებლად გიხილეთ მოულოდნელად სამნივე ერთად ნ[ინო],
ე[კატერინე], მ[ანანა], ვითარცა მშვენიერნი გრაციანი მჯდომარენი მოაჯირზე ფანჯა-
რასთანა და უმზერდით ყმაწვილურსა სიამოვნებითა საშინლად აღრეულთ ღრუბელთ, და
ისმენდით უშიშრად ქუხილთა, რომლისა გრვეინვათა განამიორებდენ მთანი.

უმზერდით უშიშრად და არ უწყოდით, თუ უსაშინელეს ამა ღრუბელთა არიან ღრუ-
ბელნი ვნებათანი ცხოვრებისა ჩვენის დამამწარებელ და დამაბნელებელნი, რომელნიცა ჯე-
რეთ არა შეხებიან გულთა თქვენთა, აქამამდის უმანკოთ, წმინდათ და ნათლად.

მოვედ თქვენდა და მსურდა მზიარულად მეჩვენა თავი ჩემი; მარამა მზიარულისა სა-
ხისა ქვეშე, ვერა დავჰვარე თვალთაგან თქვენთა მწუხარებითი მდგომარეობა გულისა ჩე-
მისა. შეამჩნიეთ მკმუნვარება და იწყევი ჩემდა ნუგეშისცემა. მე ვიჯექ მდუმარედ. ვისმენ-
დი სიტყვათა თქვენთა, მსურდა მეცა უბნობა, და ვერცა ერთი სიტყვისა ვერა შევმელ
წარმოთქმად.

გახსოვთა! რა გესმათ ჩემგან სიტყვა მშვიდობით, თვალნი თქვენნი უნებლიეთ აღივსნენ
ცრემლითა, ერთი და ორიც გამოქცივდით მშვენიერთა დაწვხვდა; ხოლო ბაგენი ღიმი-
ლითა ჰსცილობდნენ დაფარვასა მწუხარებას თქვენისას. — ახ! ვითარ მშვენიერ იყვენით
უაჰა მას; ვითარ გშვენირდით ცრემლინი.

არა გიხილავთ? მშვენიერისა გაზაფხულისა დილისა ვარდო ახლად გაშლილი, რო-
მელსა ზედანც უბრწყინვალეს ზეცისა ნამი? ანუ არა გახსოვთ? მზიანსა დღესა მოწმენდი-
ლი და გადმომდგრეველნი წვიმისა, რომლისა თვითეულნი მარცვალნი მზისა სხივით გან-
ბრწყინებულნი ჰსცივიან მარგალიტებრ და ასიამოვნებენ თვალთა.

ესრეთ იყვენ თვალნი თქვენნი. სიხარულმან განანათლა და განაზნივა მწუხარებითი
სიბნელე სულის ჩემისა. ნუთუ ვარ ესრეთ ბედნიერ რომელ ღირს ვიქმენ ცრემლსა თქვენსა?
ნუთუ გულთათვის თქვენთა ვნიშვნელობ რასმე? ამა აზრმან სრულიად გამოაცა, რომელ
წამსვე მას ვესალმებლით; ესრეთ მცირედი სიხარული ივიწყებს მრავალთა სიმწარეთა.

შესაძლო არს, რომელ არცა დღე იგი, არცა თვით მე გახსოვართ თქვენ. მარამა
დღე იგი არაოდეს არა აღიხორციების გონებისაგან; და ოდესცა მეწვევის მწუხარება ანუ
უბედურება, რომელნიც არიან ჯტათთვის აუცილებელ და განუყრელ სიკოცხლესთანა
ჩვენისა, მაშინ მომაგონდების ჰე გრაციანო! ცრემლინი თქვენნი ჩემთვის გადმოცვივულნი,
და ვიქნები მით ნუგეშცემულ.

პეტერბურგს 1832 წ.
ნოემბრის 5 დღესა.

ვაჟა-ფშაველას სიჭაბუკის ლექსები

სასწავლებელში შესვლამდე ვაჟა ჩარგალში, მამის ოჯახში იზრდებოდა. ვაჟას სიყრმიდანვე ესმოდა ფშავ-ხევსურული საგმირო და სატრფიალო ლექსები, გაზაირება, კაფია. ბიძა მისი ფხიკლანთ პარასკევა, განთქმული მოლექსე იყო. მეორე მხრივ, მამა — პავლე რაზიკაშვილი შვილს ქართულ ლიტერატურას აცნობდა. ასეთი პირობები მომავალ პოეტს წიგნს აყვარებდა და ფანტაზიას უფართოებდა.

ვაჟა, როგორც მისი სკოლის ამხანაგების მოგონებიდან ჩანს, ლექსებს ბავშვობაშივე სთხზავდა. სამწუხაროდ ეს ლექსები არსად დაბეჭდილა და ჩვენთვის აღბად სამუდამოდ დაიკარგა.

გორში, ვაჟას სწავლის დროს არსებობდა რევოლუციონერთა წრე (მიშო ყიფიანი, სოფრომ მგალობლიშვილი, შიო დავითაშვილი და სხვ.). საოსტატო სემინარიაში თავმოყრილი იყო მოწინავე ახალგაზრდობა, საიდანაც ცნობილი მწერლები და მოღვაწენი გამოვიდნენ. მათ შორის ტრიალებდა ვაჟა. ისიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოწაფეთა ხელთნაწერ ჟურნალის „რიკრაჟის“ გამოცემაში. ათავსებდა მასში ლექსებს. თარგმნიდა რუსულიდან. გაზეთ „დროებაში“ კორესპონდენციებს ბეჭდავდა.

1880 წ. დასწერა პოემა „დაჩაგრული მესტვირე“. 1881 წ. 10 ივნისს პოემის ბოლოში ვაჟას მიუწერია: „მე ღირსად არ ვთვლი ამ პოემის დაბეჭდვას“.

ამ დროს ეკუთვნის ვაჟას ხალხოსანთა ჟურნალ „იმედში“ თანამშრომლობა. მაშინ მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა ფსევდონიმი — ვაჟა-ფშაველა. ამასთან „იმედში“ დაბეჭდილ ლექსებს გვარს მთლიანად არ აწერდა, არამედ: ლ. რ-ზ-კ-ლი და ლ. რ-ზ.

„იმედში“ დაბეჭდა ვაჟას შემდეგი ლექსები: „მეომარი“ — 1881 წ. №3—4, „დროება“, „წინასწარმეტყველი“ — 1881 წ. №5, „ყარსის ბოლოს“ — 1881 წ. №6, „როდის იქნება“ — 1882 წ. №1 და „ჯერ არ მომკვდარა მორწმუნე გული“ — 1883 წ. №3.¹⁾

ამ ლექსების ავტორი ჩამოყალიბებულ პოეტად არ ჩანს. მაგრამ ეს ლექსები გვაცნობს ახალგაზრდა ვაჟას შემოქმედებას, (ფორმის მხრივაც ისინი არ არიან შემდეგი დროის ვაჟა-ფშაველასთვის დამახასიათებელი). ამ პერიოდში

¹⁾ შემოთღასაზღვრულ „იმედში“ დაბეჭდილი ლექსები, ვაჟა-ფშაველას თხზულებათა გამოცემაში არ შესულა.

იგი კლასიკური ლექსის მეტრის მიმართავს და არა ხალხურ შაირს. ენაც ლექსებისა — მწიგნობრულია.

ცხადია, ვაჟა მაშინაც კარგად იცნობდა ფშავ-ხევსურულ ხალხურ პოეზიას, მაგრამ მის გამოყენებას ვერ ბედავდა, ცდილობდა პოეტური გზა ქართული კლასიკური 10 და 14 მარცვლოვანი ლექსით გაეკვლია.

მოწაფეობისას, სწერს ვაჟა — „ფშაური, ხევსურული ლექსები ბევრი ვიცოდი; ეს კილო მიყვარდა, ჩემს გულში განსაკუთრებული კუთხე ეჭირა; თუმც მაშინაც ლექსებს ვსწერდი, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, ვბლაჯნინდი, მაგრამ საერთო კილოზე წერას ვერა ვბედავდი, რადგან მწერლობაში ლექსების წერის კილოდ არ იყო მიღებული“. რაფიელ ერისთავის მიერ ამ „კილოს“ დამკვიდრების შემდეგ მეც გაბედულება მომემატაო.

გაბედულებამ, ნიჭმა და ცოდნამ აპოვინა ვაჟას ჭეშმარიტი გზა. მაგრამ მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, „იმედში“ დაბეჭდილი ვაჟას ლექსები არ არიან ინტერესს მოკლებულნი. არა მარტო, როგორც დიდი პოეტის განვლილი გზა, არამედ თავისთავადაც. თემატიკურად ისინი ეხმაურებიან იმ მღელვარე საკითხებს, რომელიც 80-იან წლებში მოწინავე ახალგაზრდობას აწუხებდა. აგრეთვე ამ ლექსებიდან ყრუდ, მაგრამ მაინც მოისმის ის პოეტური ზმა, რომელიც შემდეგ ვაჟამ მთელ საქართველოს გააგონა.

ლექსი „მეომარი“ დაწერილია 1881 წ. მარტის 25-ს, ალექსანდრე მეორის მოკვლის გამო შექმნილ მღელვარე დროს. ლექსი წარმოადგენს ბრძოლისკენ მოწოდებას. ახალგაზრდა ვაჟა აყენებს სიყვარულისა და ქვეყნის წინაშე ვალდებულების გრძნობის საკითხს. ჭალს, რომელიც ახალგაზრდა პოეტს სიყვარულს სთავაზობს, მიმართავს:

„სხვა სიყვარული, სხვა გრძნობაა გულში ჩასხმული;
სიბრალოთი გულში იბრძვის და იკვცება.
რა ვქნა, სულო. ის მეტათაა ცეცხლით აგზნული,
ჭკვასა და გრძნობას თავისაკენ მიეზიდება.
მოდო, მომყე, გაიხედე რა ამბავია:
ჩემი ძმები მტერთ საომრად ჯარებს აწყობენ...
ხომ გითხარი, რომ მე შენთვის არა მცალია....
ყური დაუგდე, რას ამბობენ, რას ჩურჩულობენ:
„გავეშუროთ, დაცემულნი წამოვაყენოთ,
„ბოროტებას ფეხით შევსდგეთ და გავამტვეროთ,
„ხალხი ერთხელ სწორე გზაზე გადავაყენოთ,
„უშოვნოთ ბინა, შევიყვანოთ და დავაყენოთ.
მაშ რას მომტირი. მე იმათკენ მიმეჩქარება,
ჯერ მსურს იმათა ხალხის სხნაში გადავეშველო,
თუ რასაც ვეტყვი ის ბედისაგან ამისრულდება.
მაშინ, იქნება, შენს სურვილსაც გამოუელვო“.

აქ მკვეთრად ისმის მონარქიის საწინააღმდეგო ხმა. არსებული პირობებით უკმაყოფილება და მძლავრი სწრაფვა მომავლისაკენ, მაშვრალის ბედისათვის ზრუნვა, ვაჟას სხვა, „იმედის“ პერიოდის ლექსებისთვისაც დამახასიათებელია.

„როდის იქნება შრომის შვილსა პირი მოვბანო,
აღარა სწვიმდეს ნაკადული ცხელის ოფლისა“.

(„როდის იქნება“).

ხალხის გულისთვის თავდადებისა და მისი უანგაროდ სამსახურის განცდა-
გამოხატულია „წინასწარმეტყველში.“

წინასწარმეტყველი ქვეყნად მოვლინებულია არა ქებისა და ქონების მო-
სახვეჟად, არამედ ტანჯულთა ბედნიერებისთვის საბრძოლველად.

ახალგაზრდა ვაჟას ნაწერებში სხვა პრობლემებიცაა დაყენებული. აქ ის-
მის დიდი ვაჟა-ფშაველას ხმა. ასეთი ლექსია „ყარსის ბოლოს“.

ქალაქ ყარსის აღებას, მონარქიულმა რუსეთმა დიდძალი ჯარი შეაკლა:
ამ თემანზე დაწერილი „ყარსის ბოლოს“. იგი ეპიური ხასიათის ლექსია, რო-
მელშიც პოემის ელემენტებიც გვხვდება. ომში დაჭრილი ახალგაზრდა რუსი
ჯარისკაცი კვდება ყარსის ბოლოს.

— „ერთი ვაჟკაცი ქერა თმა წვერის
სდგას მუხლ-მოყრილი მკვდრების ყორეში:
მარცხნივ გვერდიდგან სისხლი ჩამოსდის,
თოფი უპყრია მარჯვენა ხელში“.
„საუბრით სჩანდა, რომ რუსი იყო.
სთქვა: „შემომქმედი აქ რისთვისა მკლავს.
მოხუც დედასა, ცოლ-შვილს რა ვუყო...
საწყალ მამა-ჩემს ვინ დამიმარხავს“.
„რისთვის მოვკვდი, რა გავარიგე,
ვისა ვფარავდი ამ კლდე ღრეებში..“

და სურს რუსეთში დარჩენილ დედას ხმა მიაწვდინოს:

„მიუსამძიმრე შენსა მეზობლებს,
რომ აღარ დარჩა მანდ წამომსვლელი;
ნულარ ელიან თავიანთ შვილებს,
დასხდენ ქვითინით დაღვარონ ცრემლი“.

გარდა იმისა, რომ ამ ლექსში დაგმობილია ომის საშინელებანი, ის სხვა-
მხრივაც არის საინტერესო, მასში მოისმის მოტივი „აღუდა ქეთელაურისა“.
აქ მოცემულია ჰუმანიზმი. შესაბრალებია საერთოდ ადამიანი, მიუხედავად მი-
სი ეროვნებისა:

„ერთი უყურეთ კაცის სისუსტეს
რის გულისთვის ჰკაწრავს თვის მოძმეს.“

ვაჟა სასიკვდილოდ განგმირულ რუსი ჯარისკაცის ბედს სწუხს ისევე, რო-
გორც სწუხდა ქისტი მუცალის სიკვდილის გამო აღუდა ქეთელაური. ხევსური
ზვიადურის სიკვდილის გამო კი ქისტი ჯოჯოლა აღხასტაისძე და მისი მეუღ-
ლე აღაზა.

ამ ლექსის იდეა გვაგონობინებს ავტორის მომავალ სილიადეს, დაწყება
ლექსისა მეტად გაბედულია, ექსპრესიული და ფიგურალური.

„წითლად ამოჰკრა დილის მზის სხივმა
ცეცხლი დაანთო თოვლიან მთებზედ.

ხელი წამოჰკრა ყვავილს ნიავმა

და წამოაგდო მთვლემავი ზეზე“.

ან: ზევით კლდეებში არწივ-ყორნები
ქვებზედ ნალეშარს ნისკარტებს ლესენ“.

ზოგჯერ საბრძოლო და გამამხნეველ ხმებთან ერთად სევდაც მოისმის ვაჟას ამდროინდელ ლექსებში, რაც დამახასიათებელი იყო მისი შემდგომი დროის შემოქმედებისთვისაც.

ლექსს „დროებას“ ვაჟა სპარსული რუბაის მსგავსი სტროფით ამთავრებს. მიმართავს დრო-ვაჟას:

—„ აბა ხელახლათ მოიარე, რაც რომ იარე,
და დააკვირდი, მაგ ტანტალით რა მოიტანე.
კარგა გაჩხრიკე, მოდი მერე და მოიტანე
ამბავი, თუ რამ სასარგებლო კაცს მოუტანე...“

ახალგაზრდა ლუკა რაზიკაშვილი საშინელი რეაქციის პირობებში 1883 წელს წერს მომავლის იმედით აღსავსე ლექსს: „ჯერ არ მომკვდარა მორწმუნე გული“ („იმედი“, 1883 წ., № 3).

„ჯერ არ მომკვდარა მორწმუნე გული:

შავმა დრომ მხოლოდ დაავადა;

მაგრამ ნუგეში დღეს განკიცხული,

გამწყრალმა გულმა ფრთხილად დამალა.

ერთხელც იქნება ცივი ზამთარი

მოკვდება — მუდამ ის ვერ იხარებს, —

კბილათორიანი მღმუარი მგელი

მუდამ ბავშვებსა ვერ შეგვიშინებს.

ერთხელც იქნება ცა დაიჭექებს,

ზვაფი გრიალით დაიწყებს დენას,

შავად ხეები აღელდებიან,

არწივი მთაზედ დაიწყებს ყეფას.

კლდის შავარდენსა მალლა კივილით

ამცნებს არესა ზამთრის სიკვდილსა“... და სხვა.

მონარქიის საწინააღმდეგო ასეთი აზრებითაა გამსჭვალული ახალგაზრდა ლუკა რაზიკაშვილის, მომავალი — ვაჟა-ფშაველას ლექსები. ამ ლექსებში გამოქვეყნებულმა მოტივებმა — ცარიზმის საწინააღმდეგო განწყობილებამ და ჰუმანიზმმა კანონზომიერი განვითარება ჰპოვა ვაჟა-ფშაველას შემდგომ შემოქმედებაში.

ბიბლიოგრაფია

„მოხვეუტი ლექსები“ — ალ. გომიაშვილის კელაქციით

გამომცემა ფედერაციისა, 1989 წ.

ხალხური შემოქმედება თანამედროვე კულტურის დიდი საგანძურია და მას არცერთ ეპოქაში იმდენ ყურადღებას არ აქცევდნენ, როგორც აქცევენ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა სრული პირობა ფოლკლორის შეგროვებისა, მისი ღრმად შესწავლისა და ფართოდ განვითარებისთვის. ჯამბულები და სულემან სტალსკები საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ხელმეორედ დაიბადნენ და, მიუხედავად თავიანთი დიდი ხანდაზმულობისა, უმაგალითო, ძლიერი ხმით ამღერდნენ. დღეს, როდესაც ხალხს აქვს ბედნიერი, საამო და შეძლებული ცხოვრება, მისი სიმღერა კიდევ უფრო ფრთხილად და ლაღად იგი უმღერის ამ საამო ცხოვრების შემქნელებს, ხალხის საყვარელ ბელადებს — ლენინსა და სტალინს და თანამებრძოლებს.

ისტორიულად ბევრი ჭირვარამის მნახველი ქართველი ხალხი ყოველთვის ჭირსა და ლხინში იმღეროდა, იმღეროდა ხან ნაღვლიანი ხმით და ხანაც ლაღი სიხარულითა და აფრთოვანებით. ქართულ ხალხურ ფოლკლორში განსაკუთრებული ადგილი უკავია მოხევეურ და საერთოდ მთიელი ხალხის შემოქმედებას. ამ შემოქმედების დამახასიათებელია მტკიცე ვაჟკაციური პანგები, სამშობლოსადმი ძლიერი სიყვარული, თავისუფლებისთვის თავგანწირვა. მთიელის ბუნებას არ ეგუება დაბრკოლების წინაშე ქედის მოხრა და განიარაღება, არც მოლაღატობისა და პირისგატეხისადმი შერიგება. ის ვაჟკაცია ყოველთვის, — ეხება ეს ქალის სიყვარულს, თუ სამშობლოსა და თავისუფლების დაცვას. მოას ჰყავს თავისი გმირები და რაინდები, რაც ქართულ ლიტერატურაშიც შესულნი არიან ალ. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას და სხვა მწერალთა უკვდავი მხატვრული სახეებით.

ალ. გომიაშვილის რედაქციით გამოცემული მოხევეური ლექსები, წარმოადგენს იმ ლექსების ერთ ნაწილს, რომელიც დააგროვა ყაზბეგის სამხარეთმცოდნეო მუზეუმმა. მასში მოთავსებულია, როგორც ძველი, ისე ახალი ხალხური ლექსები. სავსებით მართალია რედაქტორი, როდესაც სწერს: „მთის პოეზია გვაოცებს თავისი მრავალმხრივი მუსიკალური უღერით... ხშირად ლექსები უხვია, როგორც სალი კლდეები მთებისა, მაგრამ ამ მოუხვამე სტრიქონებში არის უდიდესი პოეტური იალა. გმირული პათოსი, მუსიკალური ხმიერება და სინათლე“. სწორედ ეს თვისებები და ღირსებები აქვს წიგნში მოთავსებულ ხალხურ ლექსებს.

ლექსები ბელადზე „იცოცხლე დიდო სტალინო“, „ჯუღლაშვილი“ დაწერილია ბელადისადმი უმხურვალესი ერთგულებისა და სიყვარულის გრძნობით, მაღალი მუსიკალური ბგერით, ალტყინებული და საზეიმო პათოსით და მასში იგრძნობა დიდი უბრალოება, უშუალოება და გულწრფელობა.

„იცოცხლე, დიდო სტალინო,
მაგ შენი ოქროს ხელითა,
მაგრა ვიბრძოლებთ გლეხები
ჩვენი მაგარი ხელითა,
ჯამუშებს გაეანადგურებთ,
შინ დაებრუნდებით მღერითა“.

წიგნს წამძღვარებული აქვს რედაქტორის მცირე წინასიტყვაობა, საიდანაც ვტყობი-
ლობთ, რომ წიგნის გამოცემის მიზანი იყო „მოხვეული ხალხური პოეზიის ნიმუშები მიგვე-
წოდებია მკითხველისთვის მასიური გამოცემის სახით“. ეს მიზანი კიდევ უფრო კარგად
იქნებოდა შესრულებული, რომ მას წიგნში წარმოდგენილი ხალხური ლექსები თემატიურად
დაელაგებია და მათთვის, სადაც ეს საჭიროა, კომენტარიებიც წამძღვარებია, მეტადრე,
ისტორიულ პიროვნებათა შესახებ.

წიგნი ხალხით იკითხება და მისი გამოცემა დროულად და მიზანშეწონილად უნდა
ჩაითვალოს.

გ. მებაჟია